ახალი განათლება

2014 წელი, 29 მაისი – 4 ივნისი

ფასი 1 ლარი 50 თეთრი

№20 (654) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

საჯარო სკოლებში სასწავლო პროცესი 13 ივნისს დასრულდება

განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ლია გიგაურმა სპეციალურად გამართულ ბრიფინგზე განაცხადა: „სასწავლო პროცესი, ვირუსული მენინგიტის გამო, შეჩერებულია II-VI კლასებში. სასწავლო პროგრამის მიხედვით, ახლა სკოლებში განვლილი პროგრამის გამეორება მიმდინარეობს. გაცდენილი საათები შაბათი დღეების ხარჯზე ანაზღაურდება, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ სწავლის დასრულებამდე მხოლოდ ორო შაბათი დღე რჩება, სკოლებს შესაძლებლობა აქვთ, დამატებითი გაკვეთილები ჩაატარონ. ეს დირექციის გადასაწყვეტია. შესაძლებელია, განვლილი პროგრამის გამეორება შემჭიდროვებულ ვადებში მოესწროს.

ამ დროისათვის, სკოლები მოსწავლეების მისაღებად მზად არის, ჰიგიენურ-დეზინფექციური სამუშაოები უკვე დასრულებულია“.

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

2013 წლის 28 მარტს საქართველოს მთავრობამ მიიღო დადგენილება №64, რომლის საფუძველზეც დაფუძნდა **საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტი** და მიზნად განესაზღვრა ?მაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული აკადემიური უმაღლესი განათლების განხორციელება. 2014 წლის 19 მაისს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 5 წლის ვადით, მიენიჭა უმაღლესი სასწავლებლის სტატუსი.

სტუდენტების მიღება

❖ უმაღლესი აკადემიური განათლების პირველ საფეხურზე (ბაკალავრიატი), მიღება განხორციელდება მწვრთნელთა და ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტებზე. აბიტურიენტების მიღება იწარმოებს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, უნივერსიტეტის შიდა კონკურსის (სპორტული ტური) შედეგების მიხედვით, ერთიანი ეროვნული გამოცდების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვის შემთხვევაში. ვვარაუდობთ, რომ 2014-2015 სასწავლო წელს პირველ კურსზე მივიღებთ 400 სტუდენტს;

❖ უმაღლესი აკადემიური განათლების მეორე საფეხურზე (მაგისტრატურა) ჩარიცხვა განხორციელდება საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგებისა და უნივერსიტეტში სპეციალობაში გასაუბრების საფუძველზე.

აბიტურიენტებს შეეძლებათ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე შემოხაზონ **საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, რომლის კოდია 186**, ეს პროცედურა მათ შეუძლიათ გაიარონ 2014 წლის 18 ივნისამდე. რეგისტაციის გავლის შემდეგ აბიტურიენტები ცხადდებიან სპორტის უნივერსიტეტში (**ჭავჭავაძის გამზირი №49**) და აქაც გადიან რეგისტრაციას, რომ მონაწილეობა მიიღონ უნივერსიტეტის შიდა გამოცდებში (სპორტული ტური). შიდა ტურის წარმატებით გავლის შემდეგ აბარებენ ეროვნულ გამოცდებს.

სპორტული ტურის გამოცდები ჩატარდება 20, 21 და 22 ივნისს.
ინფორმაცია ყველა სიახლის შესახებ იხილეთ უნივერსიტეტის ვებგვერდზე – www sportuni.ge

მედიათეკა 2012–2014

სამუზეუმო საქმიანობის ახლებური ხედვა

გვერდი 4

საჭადრაკო ფესტივალი

სამაისო კავკასია

გვერდი 10

ჩაერთე ინტელექტუალურ ვიქტორინაში
“წაიკითხე, უპასუხე და დასვი კითხვა“
საქართველოს სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაციის ფეისბუკ-გვერდზე

სკოლამდელი განათლება

მომავლის ბაღი
თანაბარუფლებიანი და ინკლუზიური თავისი ბუნებით

ლალი ჯელაძე

„ადრეულ ასაკში სწავლის დაწყება ხელს უწყობს სწავლას მომავალში, ხოლო ადრეული წარმატებები იწვევს წარმატებას მომავალში ისევე, როგორც ადრეული მარცხი იწვევს მარცხს მომავალში. წარმატება ან მარცხი ამ ეტაპზე საფუძველს უყრის წარმატებას ან მარცხს სკოლაში, რაც, თავის მხრივ, იწვევს წარმატებას ან მარცხს სკოლის შემდგომ სწავლის პროცესში“.

ჯეიმს ჯ. ჰეკმანი
2000 წლის ნობელის პრემიის ლაურეატი
ეკონომიკურ მეცნიერებებში

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება, ანუ საბავშვო ბაღი საზოგადოების გარკვეული ნაწილისთვის ჯერ კიდევ ბავშვის „დასატოვებელ“ ადგილად აღიქმება, რომელიც მშობლებისთვის გამოთავისუფლებული დროის საუკეთესო საშუალებაა – სოციალური დახმარების ფორმა მომუშავეთა ოჯახებისთვის ან მშობლებისთვის, რომელთაც, უბრალოდ, მეტი თავისუფალი დრო სჭირდებათ. ბუნებრივია, ბაღი ნაკლებად მოიაზრება სკოლამდელი აღზრდის ისეთ დაწესებულებად, სადაც ბავშვის განვითარებაზე, განათლებასა და სასკოლოდ მომზადებაზე იზრუნებენ. საქართველოში კომუნისტების დროინდელი საბავშვო ბაღების რეფორმირება, წლების განმავლობაში, არც თუ ისე პრიორიტეტული აღმოჩნდა ქვეყნისთვის, სკოლამდელი აღზრდის მიმართ სისტემური მიდგომა არ არსებობს. მართალია, დაგვიანებით, მაგრამ საქმე დაიძრა. რეფორმა ნელ-ნელა სტარტს იღებს, დაიწყო საკანონმდებლო ცვლილებებზე მუშაობა. რაც მთავარია, დღეს საქართველოში ყველა თანხმდება იმაზე, თუ რა მნიშვნელობა აქვს ბავშვის ადრეულ განვითარებას მის შემდგომ წარმატებაზე და არავინ სვამს კითხვას, რატომ უნდა იარონ ბავშვებმა ბაღში, უფრო აქტუალური გახდა ხელმისაწვდომობასა და ხარისხზე საუბარი. 2005 წელს სახელმწიფომ, დეცენტრალიზაციის პრინციპით, ბაღები განსაკარგად ადგილობრივ თვითმმართველობებს გადასცა. საბავშვო ბაღების მდგომარეობა და ხარისხი, მუნიციპალიტეტების მიხედვით, განსხვავებულია და მისი განვითარება კონკრეტული მუნიციპალიტეტების კეთილ ნებასა და კვალიფიკაციაზეა დამოკიდებული.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხრიდან, ამ პერიოდში, არაერთი ინიციატივა განხორციელდა სკოლამდელი განათლების მხარდასაჭერად. შეიქმნა მეთოდური სახელმძღვანელოები სკოლამდელი დაწესებულების აღმზრდელთა და სპეციალისტთა დასახმარებლად, ადრეულ ასაკში სწავლისა და განვითარების სტანდარტები, სკოლამდელი ასაკის ბავშვის შეფასების ფორმა, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების მართვის გზამკვლევი და ა.შ. შემუშავდა საბავშვო ბაღის აღმზრდელთა გადამზადების პროგრამა და შესაბამისად, გადამზადდა არაერთი აღმზრდელი.

2013 წლის დასაწყისში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტში, შეიქმნა სკოლამდელი განათლების განვითარების სამმართველო, რომლის მიზანია აღნიშნული სფეროს ხელშეწყობა, სკოლამდელი განათლების სისტემაში არსებული პრობლემების გამოკვეთა და მათი გადაჭრის გზების ძიება. სამმართველო აქტიურად თანამშრომლობს თბილისის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოსთან და სკოლამდელი განათლების საკითხებით დაინტერესებულ სხვა სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

სამმართველო, ასევე, მუშაობს სკოლამდელი განათლების პოლიტიკის საკითხების განსაზღვრაზე და ამ სფეროს განვითარებისათვის მნიშვნელოვან სხვა ასპექტებზე.

იუნისეფის წარმომადგენელი, განათლების პროგრამების ხელმძღვანელი **მაკო ყუფარაძე** მიიჩნევს, რომ სწორედ „ხარისხიანი სკოლამდელი აღზრდა არის საფუძველი, რომელსაც უნდა დაეყრდნოს განათლების შემდგომი ეტაპი“. საქართველოში იუნისეფის ხელმძღვანელის, **საშა გრაუმანის** აზრით, ბავშვთა ხარისხიანი სკოლამდელი აღზრდა, ქვეყნის განვითარების აუცილებელი პირობაა: „კვლევები, რომლებიც დღეს არსებობს, თუნდაც თავის ტვინის განვითარების შესახებ, ამტკიცებს, რომ ყველაფერი, რასაც სკოლამდელ ასაკში აგროვებ, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მთელ ცხოვრებაზე. ადრეული ბავშვობიდან იწყება მდიდარ და ღარიბ ბავშვებს შორის უთანასწორობა, ღარიბი ბავშვი დიდი ალბათობით ღარიბი მოზარდი იქნება. თუ მდიდარ ბავშვებს განვითარების სტიმულები სახლშიც აქვთ, ღარიბი ბავშვებისთვის სკოლამდელ აღზრდას, ამ კუთხით, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. საქართველოში კი ღარიბი ბავშვების მხოლოდ 30 პროცენტი დადის ბაღში.“

მოკლე სტატისტიკით სურათი ასე გამოიყურება: 3-დან 5-წლამდე ასაკის ბავშვთა 46 პროცენტი დადის ბაღში, სოციალურად დაუცველი ბავშვების – მხოლოდ 30 პროცენტი. რატომ არ დაჰყავთ ბაღში ბავშვები? – ამის მიზეზად სოფლად მცხოვრები მშობლების 48 პროცენტი გეოგრაფიულ პირობებს ასახელებს, ქალაქში მცხოვრები მშობლების 53 პროცენტს კი მიაჩნია, რომ მათი ბავშვი ბაღისთვის პატარაა.

2010 წლის სოციალური მომსახურების ხელმისაწვდომობის ბარიერების კვლევამ აჩვენა, რომ ღარიბი ბავშვების 56% (60% – ბიჭები, 53% – გოგონები) ჩართულია რაიმე სახის ორგანიზებულ სასწავლო ან საგანმანათლებლო პროგრამაში. საბავშვო ბაღში არ დადიან სამი ძირითადი მიზეზის გამო: საბავშვო ბაღის არარსებობა (34%), საფასურის გადახდის უუნარობა (21%) და ოჯახის რომელიმე წევრის მიერ ბავშვის მოვლა (16%).

რატომ არ დადიან ბავშვები ბაღში? რა პრობლემებია სკოლამდელი განათლების მიმართულებით საქართველოში და რა კეთდება მაღალი ხარისხის სკოლამდელი განათლების საყოველთაო ხელმისაწვდომობისთვის? – ამ თემებზე, გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მხარდაჭერით, „ფრონტლაინ ჯორჯია“ კლუბის და ჟურნალ „ლიბერალის“ ერთობლივი პროექტის – „დისკუსიები ბავშვთა უფლებების თემაზე“ – ფარგლებში გაიმართა დისკუსია, მოდერატორი – **ნანა ჯავახიშვილი,** ფსიქოლოგი; მომხსენებლები: **ნათია ჯოხაძე** – ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტის უფროსი (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო); **გიორგი მესხიძე** – „კივიტას გეორგიკას“ დირექტორი; **ემილ ვაგას ბარონი** – იუნისეფის საერთაშორისო ექსპერტი.

ნათია ჯოხაძემ ისაუბრა სახელმწიფო პოლიტიკაზე, სკოლამდელი განათლების მიმართულებით: „აქ შეკრებილებს კარგად გვესმის, რა დიდი მნიშვნელობა აქვს ზოგადად ადრეული განვითარებისა და ადრეული განათლების საკითხებს ადამიანის ემოციური, ინტელექტუალური და სოციალური კომპეტენციების ფორმირებაში. ერთი პერიოდი სკოლამდელი განათლების კურატორი გახლდათ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, თუმცა, შემდგომ, როდესაც დაიწყო რეფორმირება, სკოლამდელი განათლების სექტორი სამართავად ადგილობრივ ხელისუფლებას გადაეცა. ჩვენი შეფასებით, სამწუხარო ფაქტი მოხდა, რომ უფლებამოსილებებისა და პასუხისმგებლობის გადაცემას თან არ მიჰყვა გაწერილი ხედვა, სტრატეგია და, შესაბამისად, ის საგანმანათლებლო კომპონენტი, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია ამ ტიპის დაწესებულებებისთვის. დიდი ხნის განმავლობაში და დღევანდელი ვითარებაც ისეთია, რომ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მართვა-მენეჯმენტი ადგილობრივი ხელისუფლების ძალიან მნიშვნელოვანი კომპეტენციაა. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, მისი ერთ-ერთი სააგენტოს და გაეროს ბავშვთა ფონდის ხელშეწყობითა და დაფინანსებით, მიუხედავად იმისა, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულებით არ ევალებოდა სკოლამდელი აღზრდის სექტორში მოღვაწეობა, ბევრი რამ გაკეთდა. გამოიცა ძალიან მნიშვნელოვანი პუბლიკაციები, რომლებიც ელექტრონულადაც ხელმისაწვდომია, ეს არის: ადრეული განვითარებისა და განათლების სტანდარტები, მასწავლებელთა ხელშეწყობის გზამკვლევი, სასკოლო მზაობის შეფასების ფორმა, სასკოლო მზაობის ანგარიში, მშობლის აქტივობების კრებული, ამ დაწესებულების მოვლა-პატრონობის სახელმძღვანელო და ა.შ. 2012 წლის დეკემბერში სამინისტროში შეიქმნა სამმართველო და დებულებაში გაიწერა სკოლამდელი განათლების სექტორში სამინისტროს როლი და ფუნქციები. თუმცა, მართვის თვალსაზრისით, ცხადია, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო კვლავ არ არის საბავშვო სააღმზრდელო დაწესებულებების მენეჯმენტის განმახორციელებელი, ეს ადგილობრივი ხელისუფლების პრიორიტეტი და პრეროგატივაა. მაგრამ საგანმანათლებლო კომპონენტში, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულებით განსაზღვრული ფუნქციებით, ვამზადებთ სასწავლო პროგრამებს, მეთოდიკას, კონსულტაციას ვუწევთ ადგილობრივ ხელისუფლებას იმისთვის, რომ შეიმუშაონ სკოლამდელი განათლების სტრატეგიები და რეალურად განახორციელონ ადგილზე.

ამჟამად ვმუშაობთ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ხედვასა და სტრატეგიულ დოკუმენტზე. სამინისტროს გააზრებული აქვს, რომ სკოლამდელი განათლების სექტორი, ზოგადად, განათლების დიდი და მრავალი სექტორული დარგის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. შესაბამისად, სტრატეგიულ დოკუმენტში აუცილებლად აისახება განათლების სამინისტროს ხედვა სკოლამდელი განათლების სექტორის მიმართულებით.

ამასთანავე, ვიცით, რომ სამინისტროს გადაწყვეტილებით, შემდეგ წელს, 6-წლიანი ბავშვები შევლენ პირველ კლასში (წელს გარდამავალი წელია), შესაბამისად, გვეყოლება 5 წლის ბავშვების საკმაო რაოდენობა, რომლებსაც, ცხადია, სჭირდებათ მხარდაჭერა. სასკოლო მზაობის მიმართულებით მთელმა რიგმა კვლევებმა აჩვენა, როდესაც ბავშვი, რომელიც არ არის მომზადებული – არ აქვს განვითარებული გარკვეული უნარები, შედის სკოლაში, სიძნელეებს აწყდება სხვადასხვა მიმართულებით – სოციალური კომპეტენციების, ემოციური თუ აკადემიური მიმართულებით. ამიტომ, ვფიქრობთ, შეიქმნას სასკოლო მზაობის წინარე ერთწლიანი კურიკულუმი – დამხმარე მასალით – მასწავლებლის გზამკვლევი, დანერგვის ჩარჩო. შესაბამისად, გვსურს, 2014 წელს 5 წლის ბავშვებს შევთავაზოთ, სხვადასხვა მოდელების მიხედვით გაიარონ ეს სასწავლო პროგრამა. ამ მიმართულებით პარტნიორობას გვიწევს გაეროს ბავშვთა ფონდი, რომელსაც კიდევ ერთხელ მინდა მადლობა გადავუხადო. კურიკულუმის შექმნის პროცესში ჩართულები არიან ის ადამიანები, რომელთაც საკმაოდ დიდი და წარმატებული გამოცდილება დაუგროვდათ. ძალიან მნიშვნელოვნად მიგვაჩნია სკოლამდელი კომპონენტის ამუშავება საქართველოში. ვიცით, რომ ამ დაწესებულებებს რთულ გარემოში უწევთ მუშაობა. მიუხედავად იმისა, რომ მომზადებულია ადრეული განვითარების სტანდარტი და საგანმანათლებლო პროგრამა, ისინი მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათისაა, არ არის სავალდებულო. შესაბამისად, ადგილობრივი მუნიციპალიტეტების კეთილ ნებაზეა დამოკიდებული, რამდენად იხელმძღვანელებენ ამ პროგრამით.

აღნიშნული მასალები ყველა მუნიციპალიტეტსა და საბავშვო ბაღშია გავრცელებული. კარგი შედეგები გვაქვს ბათუმში, იქ არსებული ბაღების თითქმის უმეტესობა, სწორედ ამ ადრეული განვითარების სტანდარტით სარგებლობს. ცხადია, სკოლამდელი განათლების სექტორის რეფორმირების პროცესი ძალიან მნიშვნელოვანია და ეს სექტორი დიდი გამოწვევების წინაშე დგას. გამომდინარე იქიდან, რომ სკოლამდელი განათლება არ იყო სავალდებულო, შესაბამისად, არც ხელმისაწვდომობა იყო ისე მაღალი – პირველ რიგში, ფიზიკური ინფრასტრუქტურის გამო. მეორე მხრივ, მხოლოდ ხელმისაწვდომობა არ არის მთავარი იმისთვის, რომ ამა თუ იმ სექტორის წარმატებაზე ვისაუბროთ. ცხადია, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ხარისხს. თქვენც კარგად იცით, რომ ხარისხის მიმართულებით სახელმწიფოს ჯერჯერობით რეფორმები არ განუხორციელებია. ყველაზე დიდი ძალისხმევა ყოველთვის ზოგადი განათლებისკენ იყო მიმართული, ასევე – პროფესიული და უმაღლესი განათლებისკენ, სკოლამდელი განათლების მიმართულებით კი რეფორმა არ განხორციელებულა. ამიტომ ვართ მოწადინებულები, ამ სექტორს მივხედოთ. არსებობს უამრავი საერთაშორისო გამოცდილება, უნდა ავირჩიოთ საუკეთესო, თუმცა აუცილებლად გავითვალისწინოთ ადგილობრივი რეალობა, რომელიც არც თუ ისე სახარბიელოა. სურვილი გვაქვს, ხელმისაწვდომი გავხადოთ ფიზიკური ინფრასტრუქტურა, შევცვალოთ ბაღის აღმზრდელის სტატუსი და მივანიჭოთ მასწავლებლის კვალიფიკაცია, ამაზე სამინისტრო უკვე მუშაობს. შესაბამისად, მათ სათანადო გადამზადება სჭირდებათ. სამინისტრო მალე წარადგენს სტრატეგიას, რომლის დიდი ნაწილი სკოლამდელი განათლების სექტორს ექნება დათმობილი, შემდეგ უკვე შეგვეძლება ახალ ფორმატში განვაახლოთ დისკუსია.“

გიორგი მესხიძე: „საბავშვო ბაღი წარმოგვიდგენია, როგორც მშობლის დამხმარე ინსტიტუცია – მას რომ დრო გამოუთავისუფლდეს, რათა შეძლოს ეს დრო სამუშაოს ან საკუთარ თავს მოახმაროს. შესაბამისად, ნაკლები ყურადღება ექცევა როგორც მშობლის, ისე თვითმმართველობის მხრიდანაც იმას, რომ საბავშვო ბაღის საქმიანობა ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით იყოს აწყობილი. სწორედ ამიტომ, ხშირად ხელმისაწვდომობა ფარავს ხარისხს. მშობელს, რომელიც, ვთქვათ, 61-ე ბავშვად მიიყვანს შვილს, ცხადია, არ აღელვებს ის, თუ რას ისწავლის მისი შვილი ბაღში, უფრო მეტად ის აღელვებს, რამდენი თავისუფალი დრო ექნება. ეს, ჩემი აზრით, ერთ-ერთი ძირითადი – წამყვანი პრობლემაა. არადა, ხარისხზე მოთხოვნა, პირველ რიგში, მშობლისგან უნდა მოდიოდეს. კვლევა, რომელიც ჩვენმა ორგანიზაციამ 2012 წელს ჩაატარა, აჩვენებს, რომ სახლში წიგნების არსებობასა და მოტორიკის უნარების განვითარებას შორის პირდაპირი კავშირია. ასევე, პირდაპირი კავშირია, მშობლების განათლებასა და საბავშვო ბაღში სწავლების ხარისხს შორის. მშობელს, რომლის განათლების დონე მაღალია, აინტერესებს არა მხოლოდ ის, რა არის მენიუში, არამედ რას სწავლობს მისი შვილი საბავშვო ბაღში. შესაბამისად, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხია მშობლებთან მუშაობა. ყურადსაღებია, ასევე, აღმზრდელის სტატუსის შეცვლა, რაზეც მუშაობა განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ უკვე დაიწყო. აუცილებელია აღმზრდელს მასწავლებლის სტატუსი მივანიჭოთ. არ შეიძლება აღმზრდელს ჰქონდეს 105 ლარი ხელფასი და დღეში 8 საათი 60 ბავშვთან მუშაობდეს.

უკეთესი საბავშვო ბაღი, სადაც ყველას მოუნდება სიარული, მხოლოდ იმ შემთხვევაში გვექნება, თუ, პირველ რიგში, მოვითხოვთ ასეთი ბაღების არსებობას და, რაც მთავარია, გვეცოდინება, როგორი უნდა იყოს ის, ერთი აუცილებელი პირობით – მხოლოდ ბავშვზე ორიენტირებული. სხვა შემთხვევაში, რაც არ უნდა ძალისხმევა ჩაიდოს არასამთავრობო სექტორიდან, დონორებისგან თუ სამინისტროსგან, ეს ძალიან მნიშვნელოვანი იქნება, მაგრამ არასაკმარისი.“

ემილი ვაგას ბარონმა, იუნისეფის საერთაშორისო ექსპერტმა ისაუბრა სკოლამდელი განათლების შესახებ კანონზე, რომელიც გაეროს ბავშვთა ფონდის დახმარებით მზადდება: „დიდი მადლობა, ასეთ საინტერესო შეხვედრაზე რომ მომიწვიეთ. ჩემთვის დიდი პატივია, საქართველოში საგანმანათლებლო სისტემის წარმომადგენლებთან მუშაობა. საქართველოში საკმაოდ ამაღლდა დაინტერესება სკოლამდელი განათლების მიმართ, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ახალგაზრდა თაობისათვის. აღფთოვანებული ვარ იმ ინტერესითა და ყურადღებით, რომელსაც განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო იჩენს სკოლამდელი განათლების სექტორისადმი და რაოდენ დიდ რესურსს დებს ამაში. ძალიან აქტიურად მუშაობს იუნისეფი და მინდა ხაზი გავუსვა ფონდი „ღია საზოგადოება – საქართველოს“, რომელიც დაკავებულია აგრეთვე ამ საკითხებით. ყველა ეს ორგანიზაცია ხელიხელჩაკიდებული იღვწის და შრომობს, რომ მიაღწიოს ხარისხის ზრდას, კვალიფიკაციის ამაღლებას ამ დარგში.

ვეცნობი საქართველოში არსებულ სკოლამდელ დაწესებულებებს, ვნახე ძალიან ბევრი დედა თუ მამა, რომლებიც დაინტერესებული არიან ამ სფეროთი. ისინი მოითხოვენ, რომ სკოლამდელი განათლების ხარისხი უფრო მაღალი იყოს. აგრეთვე, შევხვდი სკოლამდელი დაწესებულებების შესანიშნავ აღმზრდელებს, რომლებიც ძალას არ იშურებენ, რომ თავიანთი გამოცდილება და ენერგია მოახმარონ ამ საქმეს, მაგრამ ნათელია, რომ მათ სჭირდებათ მასწავლებლის სტატუსი, რადგან იმავე ტიპის

სკოლამდელი განათლება

მუშაობას ეწევიან, როგორც დანარჩენი მასწავლებლები. თუმცა, ისიც თვალში საცემია, რომ ბევრ მათგანს არ გააჩნია მომზადების ის ხარისხი, რომელიც დღეს სკოლამდელი ბავშვის აღზრდას სჭირდება. ამიტომ ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ, პირველ რიგში, ეს ადამიანები დარწმუნდნენ, რომ საჭიროა აიმაღლონ კავალიფიკაცია და ჩაერთონ რეფორმაში, კარგად გააცნობიერონ პრინციპები, რომელსაც დღევანდელი სკოლადელი აღზდის კონცეფცია ეყრდნობა. შევხვდი აგრეთვე უამრავ გულანთებულ პარლამენტარს, რომლებსაც დიდი ძალისხმევა აქვთ გაღებული საკითხის განვითარების საქმეში. სწორედ მათი ინიციატივით მუშავდება ახალი კანონპროექტი. რასაკვირველია, ეს ყველაფერი იუნისეფთან მჭიდრო თანამშრომლობით ხდება. კანონპროექტს მხარს უჭერენ პარლამენტის კომიტეტები და განხილვა ძალიან ინტენსიურად მიმდინარეობს. აუცილებელია, მთელი ეს ინფორმაცია გაუზიარონ ადგილობრივ თვითმმართველობებს, რომლებიც პასუხისმგებლები არიან ამ სფეროზე.

ეს პროცესი რამდენიმე დაინტერესებული მხარის ინტენსიური ჩართულობით მიმდინარეობს. მთავრობა – განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სახით, არასამთავრობო სექტორი, რომლის თვალსაჩინო მაგალითია გიორგი მესხიძე, საქართველოს პარლამენტი და ა.შ. კანონპროექტის მომზადების პარალელურად, მიმდინარეობს მუშაობა სკოლამდელი განათლების სტრატეგიაზე, რადგანაც კანონთან ერთად სტრატეგია და ხედვის დოკუმენტი უნდა იყოს ის საფუძველი, რომლის მიხედვითაც განხორციელდება ინპლიმენტაცია, ანუ დაინერგება ის დებულებები და ქმედებები, რომელიც გათვალისწინებული იქნება კანონით.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ძირითადი ყურადღება გადავიტანოთ პედაგოგების თუ აღმზრდელების მომზადების ხარისხზე. ამისთვის, რა თქმა უნდა, საჭიროა სატრენინგო და კვალიფიკაციის ამაღლების კურსები, ასევე აუცილებელია ახალი სასწავლო გეგმების შემუშავება, რომელსაც დღეს კურიკულუმს ვეძახით, რომლის მომზადებაში აქტიურადაა ჩართული განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და იუნისეფი. ეს ძალიან ამაღელვებელი მომენტია იმიტომ, რომ ჩვენ ვსაუბრობთ ბავშვებზე, ჩვენს მომავალზე და, აქედან გამომდინარე, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ კრიტერიუმების შემუშავებას, რომელიც სკოლამდელ პერიოდში ბავშვების განათლების შეფასების საშუალებას მოგვცემს. აგრეთვე გავიგებთ, როგორ მიესადაგება მასწავლებლების ცოდნა და მომზადება იმ კრიტერიუმებსა და სტრატეგიას, რომელიც გაწერილი იქნება სახელმწიფო დოკუმენტში.

გარდა აღნიშნული ფაქტორებისა, მნიშვნელოვანი იქნება, შეიქმნას თანასწორობის პრინციპით აგებული სისტემა, სამართლიანი იმ კუთხით, რომ ხელმისაწვდომი იქნება განურჩევლად ყველასთვის. ძალიან მნიშვნელოვანია, სკოლამდელი განათლების მიღება არა მხოლოდ შეძლებული ოჯახების შვილებმა შეძლონ, არამედ განურჩევლად ყველამ, მათ შორის მოწყვლადი ოჯახების შვილებმა, ბავშვებმა, რომლებსაც აქვთ ენის ბარიერი ან გარკვეული შეზღუდულობის პრობლემები, სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, ჩვენი სისტემა უნდა იყოს თანაბარუფლებიანი, სამართლიანი და ინკულზიური თავისი ბუნებით. და კიდევ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი პრინციპი, რომელიც, ერთი მხრივ, გაცილებით ლამაზად და მიმზიდველად გამოიყურება, მეორე მხრივ, ძალიან მნიშვნელოვანია – შევქმნათ ისეთი საშუალებები, რომლითაც მონიტორინგს გავუწევთ და გავაკონტროლებთ სკოლამდელი აღზრდის მიმდინარეობის მთელ პროცესს და შევიმუშავებთ შესაბამის კრიტერიუმებს.

ეს ყველაფერი, საბოლოო ჯამში, მოგვცემს საშუალებას, რომ მივაღწიოთ როგორც პერსონალის, ასევე ყველა დაინტერესებული მხარის სრულ ჩართულობას, მათ შორის, მშობლების, საზოგადოების, თემის. ისინი ძალიან კარგად უნდა იყვნენ ინფორმირებულები მონიტორინგის შედეგების შესახებ და, რასაკვირველია, აუცილებელია სრული მასშტაბით ანგარიშგებადობა, ამ დაწესებულებების მხრიდან, საზოგადოების წინაშე. ყველაფერი ეს ერთ პროცესად უნდა გაერთიანდეს, რომ საბოლოო ჯამში ის შედეგი მივიღოთ, რაც გვსურს, ანუ თანაბარი შესაძლებლობა მივცეთ ჩვენს ქვეყანაში მცხოვრებ ყველა ბავშვს, საკუთარი პოტენციალის მიხედვით განვითარდნენ და, მათი უნარ-ჩვევების მისხალიც კი არ დაიკარგოს, რადგან საბოლოოდ ეს ქვეყნის მომავალს წაადგება“.

დისკუსიის მსვლელობისას დაისვა კითხვები, მათ შორის ყურადღება გამახვილდა რამდენიმეზე – *როგორ გამოიყურება მომავალში სკოლამდელი განათლების სრული სურათი? როგორ წარმოუდგენია სახელმწიფოს ან იმ არასამთავრობო სექტორს, რომელიც აქტიურადაა ჩართული ამ პროცესში, მომავალი სკოლამდელი განათლება – სად არის რესურსი, ვინ მართავს, ვინ იღებს გადაწყვეტილებას, ვინ ადგენს სტანდარტებს? როგორია ინსტიტუციური მოწყობა? გახდება თუ არა სკოლამდელი განათლება სავალდებულო?*

ნათია ჯოხაძე: „სანამ არ ვიცით, რომელი ინსტიტუცია რა საკითხზე მუშაობს – ხარისხზე, მენეჯმენტზე, კონტროლზე, სტანდარტებზე და ა.შ. – ძალიან რთული იქნება შედეგებზე საუბარი. ცხადია, შემიძლია გითხრათ, როგორი გვსურს, რომ იყოს ეს სისტემა, მაგრამ ვერ გეტყვით, როგორი იქნება ზოგადი პროგნოზი. სკოლამდელი განათლება განათლების სხვა საფეხურებთან კავშირში უნდა განვიხილოთ – ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი – ძალიან მნიშვნელოვანია სისტემის დეცენტრალიზება. წარმოუდგენელია განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ მართოს, მაგალითად, ოფუჩხეთის საბავშვო ბაღი და იქ შეარჩიოს კადრები ან განახორციელოს რაიმე ტიპის შესყიდვები. ვფიქრობ, ნამდვილად ადგილობრივი ხელისუფლების საქმეა მენეჯმენტი, იქნება ეს კადრების დანიშვნა, ბიუჯეტის განსაზღვრა, ინფრასტრუქტურული საქმიანობა თუ სხვ. ცენტრალურ ხელისუფლებას უნდა ჰქონდეს თავისი წილი კომპეტენციებისა და პასუხისმგებლობების ამ მიმართულებით. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებს, ცენტრალური ხელისუფლებიდან არ კურირებს მხოლოდ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, სხვა სამინისტროებიც არიან ჩართულები კომპეტენციების მიხედვით – რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, სოციალური დაცვისა და ჯანდაცვის სამინისტრო, რა თქმა უნდა – ფინანსთა სამინისტრო. მიგვაჩნია, რომ სტანდარტები, შესაბამისი მიმართულებებით, ცენტრალიზებულად უნდა დადგინდეს. მაგალითად, ინფრასტრუქტურის სტანდარტი, შენობის რეაბილიტაციის შემთხვევაში, ცენტრალიზებული უნდა იყოს, მაგრამ მისი შესყიდვა, ტენდერი და მომსახურების შესყიდვა, თავისთავად ცხადია, ადგილობრივი ხელისუფლების გასაკეთებელია. ასევე კვებისა და ჰიგიენის სტანდარტები, რა თქმა უნდა, ერთიანი უნდა იყოს მთელ ქვეყანაში, იგივე შეიძლება ითქვას განათლების სტანდარტებზე, კურიკულუმის სტანდარტებზე – შედეგი, რომელზეც უნდა გავიდეს ბავშვი ამ დაწესებულებაში, ცხადია, ყველასთვის ერთნაირი უნდა იყოს. მიდგომა პედაგოგების მიმართ ცენტრალიზებული უნდა იყოს და ყველა რეგიონზე უნდა ვრცელდებოდეს, ასევე, საკვალიფიკაციო ჩარჩო.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ არსებობს რეგულირებადი პროფესიები. მაგალითად, საჯარო სკოლის მასწავლებელი რეგულირებადი პროფესიაა, რომელიც განსაზღვრულია კანონმდებლობით. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ კანონში არ შეიძლება შევიდეს ცვლილებები, მაგრამ მიგვაჩნია, რომ თუ ცვლილება მოხდება და აღმზრდელს მასწავლებელი დაერქმევა, ცხადია, ეს უნდა იყოს რეგულირებადი პროფესია. აქედან გამომდინარე, რეგულირებადი პროფესიების მიმართ მიდგომა ერთნაირი უნდა იყოს – მომზადების, მათი საქმიანობის მონიტორინგის, კვალიფიკაციის ამაღლების და ა.შ. სერვისების მიმწოდებელი შეიძლება სხვადასხვა ორგანიზაცია იყოს.

ბუნებრივია, მნიშვნელოვანია კარგი კურიკულუმი, მაგრამ კიდევ უფრო მნიშვნელოვანია რეალურად როგორ შესრულდება – თუ ის თითოეული ბავშვისთვის სწორად არ განხორციელდა, საუკეთესო კურიკულუმიც კი აზრს და ფასს კარგავს. სისტემური მიდგომაა საჭირო, აუცილებლია მასწავლებლის შესაბამისი მომზადება, თუმცა, ეს იოლი საქმე არ არის, წლები სჭირდება. იმისთვის, რომ კურიკულუმმა იმუშაოს, საჭიროა შესაბამისი ინფრასტრუქტურა, რესურსები, მასალები, მენეჯმენტის მომზადება. ერთია, როცა ვამზადებთ პედაგოგებს, მეორეა გავიგოთ რეალურად, თუ რა ხდება თითოეული საბავშვო ბაღის საკლასო ოთახში, როგორ გადასცემს მასწავლებელი მიღებულ ცოდნას და როგორ გაყავს ბავშვები კურიკულუმით გაწერილ შედეგებზე. ანალოგიური პრობლემა ზოგად განათლებაშიც გვაქვს, ცხადია, არაფერს ახალს არ ვამბობთ. ეს სისტემა ასე მუშაობს – დაგეგმვა, კურიკულუმი, მასწავლებლის და ადამიანური რესურსების მომზადება, ინფრასტრუქტურის ხელშეწყობა, აქტიური მონიტორინგი და უკუგება, უკუკავშირი. ამ სისტემაში ცენტრალიზებული ეს უნდა იყოს და არა თანხები სამოქმედო მენეჯმენტზე, თანხა ადგილობრივ ხელისუფლებას უნდა გადაეცემოდეს და მათი საშუალებით ნაწილდებოდეს შესაბამის ბაღებზე. ამაზეც საფიქრალი და სამუშაოა. ვფიქრობ, სკოლამდელი განათლების თემა ძალიან სერიოზული თემაა და დიდი გამოწვევების წინაშე დგას.

რაც შეეხება კითხვას – გადავა თუ არა სკოლამდელი განათლება სასურველიდან სავალდებულოზე? – პირველ რიგში, მთავარია ჩამოყალიბებული გვქონდეს სწორი ხედვა – ყველანი ვთანხმდებით იმაზე, რომ სკოლამდელი განათლება ზოგადად ფორმალური თუ არაფორმალური განათლების სისტემის უმნიშვნელოვანესი ნაწილია. მეორე – ნებისმიერი განათლება, განათლების ნებისმიერი რგოლი უნდა იყოს ხელმისაწვდომი, იმავდროულად, ხარისხიანი. სწორედ ხარისხიანი სკოლამდელი განათლებაა ძალიან მნიშვნელოვანი. მესამე – აუცილებლად უნდა ჩამოვაყალიბოთ ამ სექტორის მართვის პრინციპები და, აქვე კიდევ ერთხელ გეტყვით, რომ სამინისტრო აუდიტორიის წინაშე ძალიან მალე წარდგება ამ სტრატეგიით, რომელიც სადისკუსიო დოკუმენტი იქნება. პრინციპულად მნიშვნელოვანია ჰოლისტიკური მიდგომით ჩავერთოთ ნებისმიერ სექტორში, ანუ სექტორი უნდა იყოს ინკლუზიური ნებისმიერი ტიპის ბავშვისთვის, არა აქვს მნიშვნელობა არის თუ არა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე – სოციალურად დაუცველი მოწყვლადი ოჯახიდან, ეთნიკური თუ რელიგიური უმცირესობის წარმომადგენელი. ამიტომ, სამინისტრო მიიჩნევს, რომ ჰოლისტიკური მიდგომა დეტალურად უნდა იყოს განხილული, შესაძლოა არა კანონის დონეზე, არამედ კანონქვემდებარე აქტებით. სავალდებულო იქნება თუ არა? მოკლედ გეტყვით, რომ ძალიან გვინდა ჩვენს ქვეყანას ჰქონდეს იმის შესაძლებლობა, რომ სასკოლო მზაობის ერთი წელი მაინც იყოს სავალდებულო, რაც მთავარია, ხელმისაწვდომი და ხარისხიანი. ამას ხაზს ვუსვამ, რადგან ახლაც შეგვიძლია ვთქვათ, რომ სავალდებულო გახდეს 2014 წლის სექტემბრიდან, მაგრამ ვიცით, რომ პრობლემები გვექნება ხელმისაწვდომობაში და ხარვეზები – ხარისხში. ამდენად, სავალდებულო მას შემდეგ შეიძლება გახდეს სექტორი, როცა ხელმისაწვდომობისა და ხარისხის პრობლემები მოგვარდება. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება მოვთხოვოთ მშობელს, რომ შვილი მიიყვანოს ბაღში. მანამდე კი, სჯობს სახელმწიფომ იმუშაოს ამ მიმართულებით და შემდეგ გადაწყვიტოს, იყოს თუ არა სავალდებულო სკოლამდელი განათლება.“

* * *

დისკუსიაზე ძალიან ბევრ საინტერესო კითხვას გაეცა პასუხი და ბევრი მნიშვნელოვანი პრობლემაც წამოიჭრა. გამოიკვეთა სკოლამდელი განვითარების უახლოესი გეგმა: საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად მიდის მუშაობა სტრატეგიასა და ხედვაზე, რომელიც მას კონკრეტულ სახეს მისცემს; იგეგმება აღმზრდელებისა და პედაგოგების მომზადება, შეფასების ახალი მეთოდების დანერგვა. რაც მთავარია, პრინციპები, რომელიც მაღალი ხარისხის სკოლამდელი განათლების საყოველთაო ხელმისაწვდომობას უდევს საფუძვლად, ეს არის: თანასწორობა, სამართლიანობა, ინკლუზიურობა, ანგარიშვალდებულება, ყველა სუბიექტის ჩართულობა და მონაწილეობა როგორც დაგეგმვის ეტაპზე, რომელიც ახლა მიმდინარეობს, ისე განხორციელებისა და შეფასების ეტაპზე. ეს ყველაფერი კი ძალიან დამაიმედებლად ჟღერს.

გაღგაუვლელი გავშვეგის პროგლემა

27 წელი დირექტორი ვიყავი ჩემს მშობლიურ (ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი წიფნარი) საჯარო სკოლაში.

2013-2014 სასწავლო წელს პირველი კლასის მასწავლებლად ვიმუშავე და დავრწმუნდი, როგორი „დასჯილი“ მყოლია პირველი კლასის მასწავლებელი. სოფელში არ ფუნქციონირებს საბავშვო ბაღი და სწორედ ბაღგაუვლელი ბავშვების პრობლემაა ჩვენი „სასჯელი“. მათ არ აქვთ საზოგადოებასთან ურთიერთობის ჩვევები და დიდხანს ვერ შემოდიან კონტაქტში, რაც ართულებს სწავლა-სწავლების პროცესს.

მოგეხსენებათ, რომ საბავშვო ბაღში აღსაზრდელებს არა მარტო ურთიერთობების ჩვევები უვითარდებათ, არამედ ისინი პატარა პიროვნებებად ყალიბდებიან. მოძრავი თამაშებით ფიზიკურად ჯანსაღდებიან და აქტიურდებიან; დიდაქტიკური თამაშებით კი უვითარდებათ: აზროვნება, ყურადღება, მეტყველება, გრძნობები, მორალური თვისებები. უყალიბდებათ ქცევის კულტურა, მხატვრულ-შემოქმედებითი და ემოციების გამოხატვის უნარები; ახერხებენ გარე სამყაროში ორიენტირებას – წარმოდგენა აქვთ ბუნებაზე, სამშობლოზე, ტრადიციებზე, ეროვნებაზე, ოჯახზე...

ხანგრძლივი პედაგოგიური გამოცდილების მქონე სერტიფიცირებული პედაგოგი ვარ, მაგრამ ძალიან დიდი ძალისხმევა, მდიდარი და მრავალფეროვანი სასწავლო რესურსები, მეთოდები და დრო დამჭირდა იმისათვის, რომ სტანდარტით გათვალისწინებულ შედეგებზე გავსულიყავი. დარწმუნებული ვარ, ამას ბევრი ვერ შეძლებს, მით უმეტეს, იმ ანაზღაურების გათვალისწინებით, რაც პედაგოგს აქვს, არადა მსგავსი მდგომარეობაა ყველა იმ სოფლის სკოლაში, სადაც საბავშვო ბაღი არ არის. ასეთი კი დღევანდელ საქართველოში ბევრი სოფელია.

ამჯერად საბავშვო ბაღის გახსნის მოთხოვნას არ ვაპირებ (ამას ისედაც დიდიხანია ვითხოვთ, მაგრამ უშედეგოდ), შეგახსენებთ იმ დროს, როცა ასეთ სკოლებში ერთთვიანი მოსამზადებელი ჯგუფები მოქმედებდა პირველკლასელთათვის და საკმაოდ შედეგიანიც იყო. ვფიქრობ, საფუძველს მოკლებული არ არის ამ საკითხის დასმა შესაბამისი კომპეტენტური სამსახურების მისამართით. მოთხოვნის დაკმაყოფილება კი, მერწმუნეთ, ძალიან დაეხმარება პირველი კლასის მასწავლებელს და თავად პირველკლასელებს პრობლემის გადაჭრაში.

ნუნუ ანდღულაძე
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ წიფნარის დაწყებითი კლასების პედაგოგი

მედიათეკა 2012–2014

სამუზეუმო საქმიანობის ახლებური ხედვა

ლალი თვალაბეიშვილი

ორი წელია, რაც ხოვლეში, ივანე ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმში, კულტურულ-საგანმანათლებლო და საინფორმაციო ცენტრი – **მედიათეკა** – გაიხსნა, პროექტის ხელმძღვანელია **ზიზი თორთლაძე**; კოორდინატორები – **სოფიო ფანჩულიძე** და **გოდერძი შარაშია**; პროექტის დამფინანსებელი – **ფონდი „ღია საზოგადოება – საქართველო“**; მხარდამჭერები: კასპის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანება, დირექტორი – **გივი მელაძე**; ხოვლეს ივანე ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმი – **მარინე კოშაძე, ანა ბაისონაშვილი**.

პროექტი „მედიათეკა“ მიზნად ისახავდა: მუზეუმის ცხოვრების გაცოცხლებას, მოსწავლე ახალგაზრდობის მოზიდვას, თანამედროვე ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობას, მოსწავლეებში ისეთი უნარ-ჩვევების გამომუშავებას, რაც მომავალში მათ საზოგადოებაში ინტეგრაციას შეუწყობდა ხელს; მუზეუმის დაახლოებას სკოლებთან, უმაღლეს სასწავლებლებთან, ასევე ბაღებთან. პროექტის ფარგლებში, ჩატარდა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა და ხოვლეს საჯარო სკოლის მოსწავლეთა ერთობლივი კონფერენციები, სემინარები, კულტურულ-საგანმანათლებლო შეხვედრები, სპორტული შეჯიბრებები, ვორკშოპები, სასწავლო-შემეცნებითი პროგრამის ფარგლებში – საქართველოს ისტორიულ ძეგლებზე გასვლითი ტურები; მულტიმედიური საშუალებების დახმარებით არაერთი კინოჩვენება გაიმართა. მედიათეკასთან არსებული არტკლუბი ბავშვებს შემოქმედებითი აზროვნების განვითარებასა და შესაბამისი უნარ-ჩვევების გამომუშავებაში დაეხმარა.

პროექტის მიმდინარეობისას მედიათეკას ძალიან ბევრი საინტერესო ადამიანი ეწვია – მეცნიერები, მწერლები, მსახიობები, მუსიკოსები, სოციოლოგები, ფსიქოლოგები, სტუდენტები, სპორტსმენები და კიდევ ბევრი სხვა პროფესიის წარმომადგენლები. ამ შეხვედრებმა მოსწავლეებში ახლის შეცნობის სურვილი გააჩინა და მათი თვალსაწიერი უფრო ფართე გახადა. ცნობილი ადამიანების გაცნობა არანაკლებ საინტერესო აღმოჩნდა პედაგოგებისთვის და უბრალოდ სოფლის მოსახლეობისთვის, რომლებიც მედიათეკის, შესაბამისად მუზეუმის, ხშირი სტუმრები გახდნენ.

24 მაისს, ხოვლეში, ივანე ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმში „მედიათეკის“ ორწლიანი მუშაობის ამსახველი ფილმის პრეზენტაცია გაიმართა.

პრეზენტაციას ესწრებოდნენ: კასპის მუნიციპალიტეტის კულტურის სამსახურის უფროსი **თეა ხორბალაძე**; გამომცემლობა „მერიდიანის“ დირექტორი **კახა რუსიძე**; კასპის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანების დირექტორი **გივი მელაძე**; ფონდი „ღია საზოგადოება – საქართველოს“ წარმომადგენელი, პროექტის კოორდინატორი **ანი ახალკაცი**; ხოვლეს საჯარო სკოლის პედაგოგები; პროექტის მამოძრავებელი ძალა – ხოვლეს საჯარო სკოლის მოსწავლეები, ხოვლელები.

ბატონმა კახა რუსიძემ ივანე ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმს გამომცემლობა „მერიდიანის“ მიერ, საგანგებოდ ამ დღისთვის, მომზადებული საჩუქარი გადასცა – მედიათეკის ორწლიანი საქმიანობის ამსახველი ბანერი, რომელიც მუზეუმში გამოიფინება. აქტიური მედიათეკელებისთვის დაამზადეს მაისურები მედიათეკის ლოგოთი.

პროექტის ხელმძღვანელმა, **ზიზი თორთლაძემ** პროექტის ფარგლებში ჩატარებული სამუშაო შეაჯამა და ერთგვარი ანგარიში ჩააბარა იმ ადამიანებს, ვინც პროექტის განხორციელებას შეუწყო ხელი: *„ორი წლის წინ, 2012 წლის ზამთარში, დაიწყო ჩვენი პროექტი. ზამთარი, მით უმეტეს სოფელში, ისეთი დროა, როცა ადამიანები უფრო პასიურები არიან. ამიტომ, პროექტის ზამთარში დაწყება, ვფიქრობ, ჩვენთვის ერთგვარი გამოცდა იყო – რას შევძლებდით, რას გავაკეთებდით. დღეს უკვე შეგვიძლია ხმამაღლა განვაცხადოთ, რომ ჩვენ ეს შევძელით. გონივრულად დაგეგმილი სამუშაოს შესრულება არასოდეს გაგიჭირდება, წარმატებით გაართმევთავს, თუკი გრძნობ, რომ ამის გაკეთება მართლა შეგიძლია. პროექტის მთავარი მიზანი იყო ივანე ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმის გაცოცხლება, ახლებური ფუნქციონირება. ამ მუზეუმს ძალიან კარგი თანამშრომლები ჰყავს, თავიანთ საქმეს ყოველთვის კარგად ასრულებდნენ, მაგრამ სამუზეუმო ცხოვრებას აკლდა ის რაღაც, რაც ნამდვილად გეხარდებოდა იმ ადამიანს, ვის სახლ-მუზეუმშიც ვიმყოფებით – ივანე ჯავახიშვილს, დიდ საზოგადო მოღვაწეს, უნივერსიტეტის ერთ-ერთ თანადამაარსებელს, საქართველოზე შეყვარებულ ადამიანს, რომელმაც სიცოცხლე ამ სიყვარულით დაასრულა – ახალგაზრდების სიახლოვე მუზეუმთან. დღეს ეს ტერიტორია სავსეა თქვენნაირი ადამიანებით.*

მას შემდეგ, რაც მედიათეკა ამუშავდა, ორი წლის განმავლობაში, აქ ინტერნეტი არ გაწყვეტილა. მულტიმედიამაც, თქვენი დახმარებით, კარგად იმუშავა. პირველ წელს 177 ბავშვმა კომპიუტერთან მუშაობის უნარ-ჩვევები შეისწავლა, რაც დიდებული საქმე იყო. ჩვენ ერთმანეთს ბევრი რამ შევძინეთ, მე თვითონ თქვენთან ურთიერთობისას ბევრი რამ ვისწავლე.

გვესტუმრა ბევრი წარმატებული ადამიანი, ოღონდ წარმატებას ბევრ ფულთან, ლამაზ მანქანასთან თუ სახლთან ნუ გააიგივებთ. თქვენ შეხვდით ჯუმბერ ლეჟავას, რომელსაც იმის საშუალებაც კი არ ჰქონდა, რომ გამოფენა მოეწყო და საზოგადოებისთვის წარედგინა ის უნიკალური მასალა, რომელიც მსოფლიოს გარშემო მოგზაურობისას დაუგროვდა. მიუხედავად ამისა, ბატონი ჯუმბერი ნამდვილად წარმატებული ადამიანია.

*არ დამავიწყდება ის დღე, როცა პროექტით მივედი ფონდში „ღია საზოგადოება – საქართველო“ და მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ ზოგადი მონახაზი გვქონდა, ფონდის დირექტორმა, ქალბატონმა **ქეთევან ხუციშვილმა** დაგვიჯერა და მოგვცა საშუალება, ორი წლის განმავლობაში ჩვენთვის სასიამოვნო და საინტერესო საქმით ვყოფილიყავით დაკავებული. შეიძლება მომავალში სხვებმა ბევრი რამ ჩვენზე უკეთესადაც გააკეთონ, მაგრამ ჩვენ ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯი გადავდგით. ეს ბავშვები შეიძლება დღეს ვერც აცნობიერებენ, თუ რა მოხდა მათ ცხოვრებაში, მაგრამ გავა წლები და აქ შეძენილი გამოცდილება მათ დაეხმარება ახალ საზოგადოებაში, მოდერნიზებულ საზოგადოებაში საკუთარი თავის, საკუთარი ადგილის დამკვიდრებაში. მე ამის ძალიან მჯერა.*

უღრმესი მადლობა ყველა იმ ადამიანს, ვინც მონაწილეობა მიიღო პროექტის განხორციელებაში. მადლობა ყველას, ვინც დღეს ჩვენს შემაჯამებელ პრეზენტაციას დაესწრო. მოდით, ხმამაღლა ვთქვათ, რომ ჩვენ ახალ საზოგადოებას ვაშენებთ.

*ფილმი, რომელიც მედიათეკის მუშაობის ერთგვარი ანგარიშია, ცოტა სევდიანი გამოვიდა, ალბათ ეს ჩვენი საყვარელი **მაგდა ბითაძის** გარდაცვალებამაც განაპირობა. მან ჩვენი გულისტკივილი თან წაიღო, მაგრამ ცხოვრება გრძელდება და იმედს ვიტოვებთ, რომ ივანე ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმში კიდევ ბევრი საინტერესო პროექტი განხორციელდება.“*

ანი ახალკაცი, პროექტის კოორდინატორი: *„ჩემთვის ეს პროექტი განსხვავებული და საინტერესო იყო – თავიდან ქალბატონ ზიზის ჰქონდა ზოგადი იდეა და იცოდა მიზანი, რომლისთვისაც უნდა მიეღწია. აქტივობები, თუ როგორ უნდა წარმართულიყო მუშაობა – შექმნილიყო მედიათეკა, სადაც იქნებოდა კომპიუტერი, ინტერნეტი, ბევრი წიგნი; სხვა უამრავი ღონისძიება, რომელიც პროექტის ფარგლებში მოეწყო, ბავშვების ინტერესებიდან გამომდინარე დაიგეგმა, რასაც ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს მათი მოტივაციის ზრდისთვის. ხშირად პროექტებში წინასწარ დეტალურად არის გაწერილი ერთი წლის გეგმა, რომელიც ახალგაზრდებისთვის შეიძლება საინტერესო არც იყოს. ამ პროექტის ფარგლებში ჩატარებული აქტივობები ძალიან მრავალფეროვანი იყო, სპორტული ღონისძიებებით დაწყებული და ფსიქოლოგიაზე და სოციალურ მეცნიერებებზე საუბრით დამთავრებული, ყველა ტიპის ღონისძიებას მოიცავდა. ასეთი სოფლისთვის, რომელშიც მოზარდებისთვის საინტერესო პრაქტიკულად არაფერი ხდება, მედიათეკამ თვალსაწიერის გაფართოების ძალიან დიდი შესაძლებლობა მისცა ბავშვებს.“*

გივი მელაძე, კასპის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანების დირექტორი: *„ეს პროექტი აუცილებლად უნდა გაგრძელდეს და გაძლიერდეს არა მარტო აქ, არამედ ძალიან ბევრ რაიონში, ბევრ მუნიციპალიტეტში, ბევრ მუზეუმში. ვინც ადრე ყოფილა ხოვლეს მუზეუმში, ახლანდელს თუ შეადარებს, დღეს ეს თვისობრივად სხვა მუზეუმია. ძალიან დიდია ბავშვების აქტივობა, ჩვენი დაძახება აღარ სჭირდებათ, მათ რაიმეს კეთების მოთხოვნილება გაუჩნდათ. ალბათ ეს არის სწორედ ამ პროექტის ყველაზე დიდი უკუგება, ეს არის ის, რაც ჩვენ გვინდა – სახეზეა ბავშვების აქტივობა.*

ძალიან კარგია, რომ არსებობს ფონდი, რომელმაც ასეთი კარგი საქმე გააკეთა. ერთი თხოვნა მექნება, ნუ შევწყვეტთ ამ პროექტს, გავაგრძელოთ და უფრო გავაფართოვოთ. დიდი მადლობა პროექტის ხელმძღვანელს, ქალბატონ ზიზი თორთლაძეს და ქალბატონ სოფიო ფანჩულიძეს. ადამიანები ხომ იმისთვის ვარსებობთ, რომ მომავალ თაობას დავუტოვოთ რამე.“

თეა ხორბალაძე, კასპის მუნიციპალიტეტის კულტურის სამსახურის უფროსი: *„სამწუხაროდ, ეს პროექტი დღეს დამთავრდა. მედიათეკის ღონისძიებას პირველად დავესწარი და მქონდა ბედნიერება, მენახა ვიდეოკოლაჟი და ფოტოკოლაჟი – ის, რაც ამ ორი წლის განმავლობაში გაკეთებულა. ორი წლის განმავლობაში ბავშვებმა მიიღეს ის ცოდნა და გამოცდილება, რაც თავად ივანე ჯავახიშვილს და მის სახლ-მუზეუმს შეეფერებოდა. გამოჩენილ ადამიანებს შეხვდნენ და მათგან ბევრი რამ ისწავლეს. ამ ბავშვებისთვის ეს ერთგვარი ტრამპლინია მომავალი ცხოვრების, არა აქვს მნიშვნელობა, რა პროფესიას აირჩევენ, ნებისმიერ სფეროში უფრო ადვილად დაიმკვიდრებენ ადგილს. გამეხარდებოდა, ეს პროექტი არა მარტო აქ გაგრძელდეს, არამედ რაიონის სხვა სკოლების მიმართაც თუ გამოიჩენს ვინმე ყურადღებას და უფრო მეტი პროექტები ამუშავდება.*

კასპის მუნიციპალიტეტის სახელით, დიდი მადლობა მინდა ვუთხრა პროექტის ავტორებს და ყველას, ვინც თუნდაც მცირე წვლილი შეიტანა მის განხორციელებაში.“

ეკა მერებაშვილი, ხოვლეს საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი: *„უდიდესი მადლიერებით ვარ განმსჭვალული. ფილმს რომ ვუყურებდით, გამიკვირდა, რამდენი საინტერესო ღონისძიება გვინახავს, ყველა არც კი მახსოვდა. ჩვენს ბავშვებს ძალიან წაადგა ეს პროექტი და მადლობა მინდა გადავუხადო მის ორგანიზატორებს. შესაშური ენერგეტიკა აქვთ ქალბატონ ზიზის და ქალბატონ სოფიოს. მათ ძალიან უყვართ ბავშვები და ჩვენი ბავშვებიც, ხედავთ, როგორი მადლიერებით არიან განმსჭვალულნი.*

ერთ-ერთი დაუვიწყარი შთაბეჭდილება იყო წიგნის ბაზრობა. ქალბატონმა ზიზიმ ჩვენ მოგვცა ვაუჩერები და სრული თავისუფლება, თვითონ აგვერჩია სასურველი წიგნები (ბავშვებმა წინასწარ კომპიუტერით მოიძიეს წიგნები – რომელი უფრო გამოადგებოდათ). ეს საოცრად სასიამოვნო პროცესი იყო და, რაც მთავარია, შედეგზე აისახა – IX-XI კლასების მოსწავლეები კითხუ-

მედიათეკა 2012–2014

ლობენ დოჩანაშვილს, ქარჩხაძეს, საუკეთესო ლიტერატურას და განხილვებს ვანყობთ ხოლმე. პირადად მე დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ამ პროექტის ავტორებსა და მხარდამჭერებს.“

ანა ბაისონაშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმის მეცნიერი თანამშრომელი: *„ძალიან მოხარულები ვართ, რომ პროექტმა, რომელსაც ქალბატონი ზიზი თორთლაძე ხელმძღვანელობს, პირველი მერცხლის როლი ითამაშა. მუზეუმმა ახლებური ცხოვრება დაიწყო. პროექტში ჩართული იყვნენ სკოლები, ბაღები და საერთოდ საზოგადოება. სოფელი გაერთიანდა ამ პროექტის გარშემო.*

მედიათეკას ძალიან კარგი ბიბლიოთეკა აქვს, ოთახი აღჭურვილია კომპიუტერით, შემოყვანილია ინტერნეტი, არის ყველაფერი, რაც 21-ე საუკუნეში ყველასთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს. საინფორმაციო ცენტრი ჩვენს ბავშვებს გაკვეთილების მომზადებაში და საჭირო ინფორმაციის მოძიებაში ეხმარება. ეს ყველაფერი ჩვენი სოფლისთვის ხელმიუწვდომელი იყო. პირველი ინტერნეტი სწორედ ამ პროექტის დახმარებით შემოვიდა სოფელში.

ძალიან დიდია მეზობელი სოფლების ჩართულობაც. დავდივართ გაცვლითი პროგრამებით მეზობელ სოფლებში, ვატარებთ სამეცნიერო სესიებს, ჩვენთვის ღიაა ნებისმიერი სივრცე. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მხარე ამ პროექტის არის ის, რომ ჩვენი მუზეუმი აღარ არის იმ მუზეუმთა სიაში, რომელიც მხოლოდ დამთვალიერებელს ელოდება. დღე არ გავა, რომ აქ 50-მდე ბავშვი არ შემოვიდეს, ასევე ხშირი სტუმრები გახდნენ უფროსებიც.

სიამაყით მინდა ვთქვა, ამ პროექტმა მოგვცა ბიძგი და შევქმენით „პროექტში პროექტი“ – „პატარა ქართველები“, რომელშიც V-VII კლასელები გაერთიანდნენ, ასევე უფროსკლასელთათვის – ახალგაზრდული წრე „ცოდნა“. ძალიან გვინდა, რომ პროექტი გაგრძელდეს. „პირველმა მერცხალმა“ დაუვიწყარი რამ გაუკეთა სოფელს. გვიხარია, რომ ჩვენ აღმოვჩნდით ამ პროექტის ნავსაყუდელი. სიახლემ ძალიან დიდი დაინტერესება გამოიწვია რაიონში, მოდიან მუზეუმების წარმომადგენლები, კერძო სკოლების მასწავლებლები და მენეჯერები, ეცნობიან ახლებურ ხედვას და ანალოგიური აქტივობების განხორციელების სურვილს გამოთქვამენ.“

მარინა ლელაშვილი, ხოვლეს საჯარო სკოლის ისტორიის მასწავლებელი: *„ჩვენს სკოლაში ძალიან ბევრი სოციალურად დაუცველი ბავშვი სწავლობს, თითქმის ყოველი მეორე. ამ ოჯახებისთვის ძალიან ძნელია თუნდაც ათი ლარის გაღება, რომ მათი ბავშვი სადმე წავიდეს, უმეტესად იმაზე ფიქრობენ, რა აჭამონ. ფიროსმანის ნახატების გამოფენაზე რომ გვყავდა ბავშვები, მართლაც უდიდესი საჩუქარი იყო. ასეთ გამოფენაზე, შეიძლება, ცხოვრებაში ვეღარც მოხვდნენ. ასევე ყველა ის ექსკურსია, სადაც დადიოდნენ, ცნობილ ადამიანებთან შეხვედრები, ბავშვებისთვის კი არა, ჩემთვისაც ძალიან საინტერესო იყო. თუნდაც ის დღე, რატი ამაღლობელი რომ ჩამოვიდა, ჩემთვის დღესაწაული იყო, იმდენად ახლო, უშუალო კონტაქტი გვქონდა მასთან.*

სკოლიდან რომ დაგვიგეგმია ექსკურსიები, ნახევარი კლასი ვერ მოდის, კლასებს ვაერთებთ, რომ როგორმე საჭირო თანხა შეიკრიბოს. ამათ უმეტესად სწორედ ასეთი სოციალურად დაუცველი ბავშვები დაჰყავდათ. სოფლისთვის ეს ძალიან დიდი რამ არის – ჩვენი ბავშვები ბევრ რამეს ეზიარნენ. თუნდაც ინტერნეტი, დღევანდელ სახელმძღვანელოებში ხშირად შეხვდები მითითებას – მოიძიეთ ინტერნეტით. როგორ უნდა მოიძიონ, სოფელში 1-2 ოჯახს თუ აქვს ინტერნეტი. მოდიან მედიათეკაში და აქ მუშაობენ. უზომოდ მადლიერები ვართ, ასეთი კარგი პროექტი რომ გაკეთდა.“

ლევან ბაისონაშვილი, XI კლასი, მუზეუმთან არსებული მოზარდ ახალგაზრდული სამეცნიერო საბჭოს „ცოდნა“ თავმჯდომარე: *„ორი წლის წინ, მუზეუმში, საგანმანათლებლო-საინფორმაციო პროექტის დაარსებამ დიდი დახმარება გაგვიწია. ინტერნეტ სივრცის მეშვეობით, ჩვენთვის ბევრი რამ გახდა ხელმისაწვდომი. ჩვენი საბჭოს წევრები, სადაც 19 უფროსკლასელია გაერთიანებული, აქტიურად ვმონაწილეობდით პროექტის საქმიანობაში, არაერთი ერთობლივი ღონისძიება მოგვიწყვია.*

ძალიან მტკივნეულად გავიხსენებ ჩვენი აწ განსვენებული მეგობრის, მაგდა ბითაძისადმი მიძღვნილ საღამოს, რომელიც მისი ბოლო დაბადების დღე იყო. მალე მისი გარდაცვალების მეორმოცე დღე იქნება და ამ დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებას ვამზადებთ.

მადლობას ვუხდი პროექტის თანამშრომლებს, რომლებმაც ძალიან ბევრი ლამაზი დღესასწაული გვაჩუქეს – ქალბატონ ზიზი თორთლაძეს, ქალბატონ სოფიო ფანჩულიძეს და ჩემს მეგობარ გოდერძი შარაშიას.“

ეთერ ჯანანაშვილი, VII კლასი: *„მას შემდეგ, რაც მედიათეკაში დავიწყე სიარული, უამრავი ახალი რამ გავიგე. ერთხელ ქალბატონმა ზიზიმ გვითხრა, რომ ჩვენთან ჩამოვიდოდა პოეტი რატი ამაღლობელი. ძალიან გამიხარდა და გადავწყვიტე, მესწავლა მისი ერთ-ერთი ლექსი. ის ჩემი საყვარელი პოეტია. რატი ძალიან საინტერესოდ გვესაუბრა, გადავიღეთ სურათები. ძალიან მოეწონა, მისი ლექსები რომ წავუკითხეთ. ეს დღე არასოდეს დამავიწყდება.“*

ნაზი ხათაშვილი, VII კლასი: *„მე-5 კლასში ვიყავი. ეკლესიაში მივდიოდი, ციოდა, შემხვდა მარი ჯავახიშვილი და მითხრა, მუზეუმში ღონისძიებაა, წამოდიო. წავყევი. იქ სხვა სკოლებიდანაც იყვნენ მოსულები. გავიცანით ქალბატონი ზიზი თორთლაძე და ბატონი გოდერძი შარაშია. მაშინ გავიგეთ, რომ მედიათეკა იხსნებოდა.*

ამ ორი წლის განმავლობაში ბევრ ღონისძიებას ვესწრებოდი და ბევრ რამეს ვსწავლობდი, მაგალითად, ვისწავლე თექაზე მუშაობა, თიხის დამუშავება, ორიგამას გაკეთება და სხვ. მოდიოდნენ ცნობილი ადამიანები, მიხაროდა, რადგან, რაც მაინტერესებდა, ვეკითხებოდი. ვიგებდი ბევრ საინტერესო ამბავს. განსაკუთრებით დამამახსოვრდა ბატონი ჯუმბერ ლეჟავა, ანსამბლი „ჩვენებურები“, ჯგუფი „ხრიდოლი“, მწერალი ნატო დავითაშვილი. სხვებიც მომეწონენ, მაგრამ ეს ოთხი შეხვედრა კარგად დამამახსოვრდა. მადლობელი ვარ მედიათეკის, რადგან ძალიან ბევრი რამ ვისწავლე და იმედი მაქვს, კიდევ ვისწავლი.“

მარიამ ყურაშვილი, VII კლასი: *„მედიათეკამ უამრავი რამ შემმატა. დაუვიწყარი იყო ექსკურსია თბილისში, ნიკო ფიროსმანის გამოფენაზე. მუზეუმში ბევრი ცნობილი ნახატი ვნახეთ. როდესაც დავბრუნდი თითოეულ ცნობილ მხატვარზე და ნახატზე ინტერნეტით შევაგროვე ინფორმაცია, რაც ძალიან სახალისო და საინტერესო იყო.*

მედიათეკაში ძალიან ბევრი წიგნია. ბავშვებს გვიყვარს კითხვა, მედიათეკა ამაში ხელს გვიწყობს.

ძალიან მიყვარს ხატვა, მედიათეკამ კიდევ უფრო შემაყვარა. აქ მოწვეულმა მხატვრებმა ხატვა შეგვასწავლეს და კიდევ უფრო შეგვაყვარეს. ვისწავლე თექის დამუშავება, ძალიან საინტერესო პროცესია. თექისგან მძივებს და სხვადასხვა ნივთებს ვამზადებთ. გვასწავლეს ორიგამას დამზადება, რაც ჩემთვის აღმოჩენა იყო. ორიგამაც ისევე საინტერესოა, როგორც თექა.

არასოდეს დამავიწყდება ის დღე, როცა ქალბატონი რუსუდან ბოლქვაძე გვესტუმრა. ძალიან საინტერესო ადამიანია და მასთან საუბარი სასიამოვნო იყო. წაგვიკითხა რამდენიმე მოთხრობა, გაგვახსენა რამდენიმე მწერალი და ბევრი საინტერესო რამ მოგვიყვა.

მედიათეკაში უამრავი საინტერესო შეხვედრა გვქონდა. წინასწარ კარგად ვემზადებოდით, ვკითხულობდით ბევრ საინტერესო წიგნს, ვეცნობოდით ათასგვარ ინფორმაციას. ძალიან ბევრი ცოდნა შევიძინე, ამისთვის მედიათეკის მადლობელი ვარ.“

***

პროექტის ყველაზე დიდი დამსახურება ალბათ ის არის, რომ დღეს ივანე ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმი ხოვლელთა თავშეყრის საყვარელი ადგილი გახდა. მუზეუმს თითქოს მეორე სუნთქვა გაეხსნა. მისი თანამშრომლებიც სამუზეუმო საქმიანობას ახლებურად უყურებენ და ბევრ საინტერესო პროექტსა თუ პროგრამას გეგმავენ.

თვალსაზრისი

ერთად მოვაგვაროთ მეთორმეტეკლასელთა პრობლემა

უკანასკნელ პერიოდში განათლების სისტემაში ბევრი პოზიტიური ნაბიჯი გადაიდგა, მაგალითად: უფასო სახელმძღვანელოები, პირველ კლასებში მოსწავლეთა რაოდენობის შემცირება 25 მოსწავლემდე, კონკურსის გამოცხადება სასკოლო ინიციატივების მხარდასაჭერად, სკოლების ბაზაზე მასწავლებელთა გადამზადება (მასწავლებელთა პროფესიული ცენტრის ფარგლებში). მიუხედავად ამისა სკოლებში ბევრი გადაუჭრელი პრობლემაა, რომელთა გაანალიზება-გადაწყვეტა ცალმხრივად, ჩვენი პოზიციის გაუზიარებლად ხდება. მხედველობაში მაქვს ფორმალიზმი მეთორმეტე კლასების ფუნქციონირებაში. პედაგოგები, მოსწავლეები, სკოლის ადმინისტრაცია – ყველანი ფორმალიზმის ტყვეობაში ვართ და თუ რატომ, შევეცდები ახლავე დავასაბუთო.

პედაგოგები ჩივიან, რომ მათ დისკომფორტს უქმნით, ერთი მხრივ, მოსწავლეთა არასტაბილური დასწრება და, მეორე მხრივ, მათი ინდიფერენტული განწყობა საგნებისადმი. როგორც უნდა მოინდომონ და შეარჩიონ სწავლების ეფექტური მეთოდები, შედეგი მაინც არასასურველია. მოსწავლეები ხშირად კლასში არიან, მაგრამ „სხვაგან ჰქრის მათი გონება“, მასწავლებელი ერთს ხსნის, ანუ ეროვნულ სასწავლო გეგმას მიჰყვება და მე-12 კლასის პროგრამის დაძლევაზეა ორიენტირებული, მოსწავლე კი სხვა თემაზე მუშაობს, ანუ მთლიანი პროგრამის გახსენებასა და თავმოყრას ცდილობს.

დისკომფორტს განიცდიან მოსწავლეებიც, რადგან ორი პროგრამის ქარცეცხლში მოყოლილნი რეპეტიტორებთან სირბილში ათენ-აღამებენ... არაფორმალურ საუბრებში არ მალავენ, რომ სტრესული გარემო უარყოფითად მოქმედებს მათ ჯანმრთელობაზე (ხშირად ცივდებინ, გამოირჩევიან დაბალი იმუნიტეტით).

საქმის ფორმალურ არსს ვერ შველის ე. წ. 30%-იანი გაცდენებისთვის დაწესებული ექსტერნატის გამოცდები, რადგან ამ ტიპის გამოცდებს სკოლა ატარებს და გამოდის, რომ მოსწავლეებზე უფრო მეტად მასწავლებლები „ისჯებიან“, ისინი ადგენენ საგამოცდო ტესტებს, შეფასების კრიტერიუმებს, ატარებენ კონსულტაციებს, აფასებენ მოსწავლეებს, რაც დიდ ძალისხმევასთანაა დაკავშირებული. სასურველია, სკოლას ეს მძიმე ტვირთი მოეხსნას და გამოცდები ჩატარდეს ცენტრალიზებულად, სამინისტროს მიერ.

მიმდინარე სასწავლო წელს სამინისტრომ რამდენიმეჯერ განახორციელა მონიტორინგი მე-12 კლასებში მოსწავლეთა დასწრების შესამოწმებლად. იმედია, ზემდგომი ორგანოს ყურადღების ცენტრში მოხვდება შინაარსთან დაკავშირებული რეალური პრობლემატიკაც.

თუ საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებიდან გამომდინარე შეუძლებელია მე-2 სემესტრის გაუქმება, მაშინ ის მაინც უნდა მოხერხდეს, რომ სავალდებულო საგნების სწავლება მე-12 კლასის პირველ სემესტრში დასრულდეს და მეორე სემესტრი მთლიანად დაეთმოს სააბიტურო მომზადებას. სასურველია, სასწავლო ჯგუფები მოსწავლეთა ნებაყოფლობით შედგეს. ასეთი მიდგომით შევძლებთ სწორი გეზი მივცეთ მე-12 კლასებში სასწავლო პროცესს, გამოვიყვანთ მეთორმეტეკლასელებს დაბნეული და სტრესული მდგომარეობიდან, მივცემთ მათ შანსს, თანმიმდევრულად, ნაბიჯ-ნაბიჯ დაძლიონ ჯერ პროგრამა მინიმუმი, ხოლო მოგვიანებით – პროგრამა მაქსიმუმი.

აქვე მსურს შევეხო გამოსაშვები გამოცდების თემასაც. წლევანდელმა ე.წ. „კატის“ გამოცდებმა მოსწავლეებში გარკვეული მღელვარება გამოიწვია. ისინი მიუთითებენ პროგრამის გაუმართაობაზე, რაც გამოიხატა შემდეგში:

1. ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდაზე ზოგიერთ შეკითხვას 3 ალტერნატიული პასუხი ახლდა, მაგრამ ეკრანზე ფიქსირდებოდა მეოთხე პასუხის ნომერიც, რომლის გასწვრივ პასუხი არ ეწერა, თუმცა მისი მონიშვნა შესაძლებელი იყო. გაუგებარია, თუ მუშაობდა მეოთხე ალტერნატივა, რატომ არ ეწერა კონკრეტული პასუხი ან თუ საჭირო არ იყო, რატომ არ მოხდა მისი ანულირება?

2. გამოცდიდან მოსწავლეები (მათ შორის აკადემიურად ყველაზე წარმატებულებიც) დათრგუნულები გამოდიოდნენ, დაახლოებით, ასეთი პასუხებით: „ვერ ვიტყვი, რომ ადვილი იყო“, „ვერ ვიტყვი, რომ რთული იყო“, „ვერ ვიტყვი, რომ არ ვიცოდი“... ამ გაურკვევლობას ის იწვევდა, რომ პროგრამა არ აძლევდა მოსწავლეს საშუალებას, გაერკვია რას უპასუხა სწორად და რას არა, დროის მთლიან მონაკვეთში, ჯამურად, რამდენი სწორი პასუხი მონიშნა.

3. როგორც მოსწავლეები მიუთითებენ, ზოგიერთი კითხვა 3 ნაწილისაგან შედგებოდა. გაუგებარი იყო, იღებდა თუ არა მოსწავლე 2 სწორი პასუხის შემთხვევაში ქულას.

4. ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდიდან გამოსულმა ერთ-ერთმა მოსწავლემ, გურამ დოჩანაშვილის მოთხრობიდან – „კაცი, რომელსაც ლიტერატურა უყვარდა“ – კითხვაზე, როგორი იყო ხელმძღვანელი, გაიხსენა ორი დასახელებული ალტერნატივა: ა. უცოდინარი; ბ. ამპარტავანი (დამეთანხმებით, რომ აქედან ნამდვილად შეუძლებელია ერთ-ერთის გამორიცხვა, რასაც მოსწავლისგან მოითხოვდა ტესტი).

ჩატარებულმა გამოცდებმა ბევრი კითხვა გაუჩინა სკოლის ადმინისტრაციას:

– როგორ დავარწმუნოთ მოსწავლეები მიღებული ქულების ობიექტურობაში?

– სად უნდა შეამოწმონ მათ თავიანთი პასუხები?

როგორ მივაწოდოთ პედაგოგებს ინფორმაცია მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების ავ-კარგიანობაზე? რა უნდა გაითვალისწინონ მათ, რომ მოსწავლეებმა უფრო მაღალი ქულების მიღება შეძლონ?

დღეს, როცა სკოლების წინაშე დგას მოთხოვნა შეფასების სანდოობის, გამჭვირვალობის და ობიექტურობის შესახებ, რატომ ატარებს შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი ასე ჩაკეტილად და გაუმჭვირვალედ გამოსაშვებ გამოცდებს?

ვფიქრობთ, ამ კითხვებს დროულად უნდა გაეცეს პასუხები, რათა ჩვენმა მოსწავლეებმა შეძლონ თავიანთი ცოდნის სრულფასოვნად გამოვლენა.

გულნაზ ხორბალაძე
სსიპ დიმიტრი უზნაძის სახელობის თბილისის №22 საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

მოსწავლე შემოქმედი

„ვეფხისტყაოსნის ფაუნა“

16-20 მაისს, მეექვსე საავტორო სკოლაში, ქართული ენისა და ლიტერატურის კაბინეტ-ლაბორატორიის ხელმძღვანელობით, ტრადიციული საგაზაფხულო კონფერენცია ჩატარდა.

X, XI, XII კლასების მოსწავლეებმა აუდიტორიის წინაშე წარმოადგინეს თავიანთი ნაშრომები. კონფერენცია თემატური და ჟანრობრივი მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა. საინტერესო ნაშრომების გაცნობის შემდეგ ნაჩვენები იყო მეთორმეტეკლასელი მოსწავლეების მიერ გადაღებული მხატვრულ-დოკუმენტური ფილმი – „პაკო მაااას“.

კონფერენცია მიეძღვნა სკოლის ერთ-ერთ დამფუძნებელს, მთარგმნელს, გერმანისტსა და პოეტს ამირან (პაკო) სვიმონიშვილს, პაკო მასწავლებელს.

კონფერენციის ორგანიზატორი და თემების ხელმძღვანელი – რუსუდან მეგრელიშვილი.

გთავაზობთ X კლასის მოსწავლის გიორგი ქიქოძის ნაშრომს

„ვეფხისტყაოსანში“ ყურადღება განსაკუთრებულად რამდენიმე თემაზე უნდა გავამახვილოთ და ერთ-ერთი მათგანი ფაუნაა. ნაწარმოებში, ძირითადად, სამი განსაკუთრებული ცხოველი გვხვდება: ვეფხვი, ლომი და ცხენი. ამ ცხოველებს უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს ტექსტში, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს. „ვეფხისტყაოსნის“ სათაურიდან გამომდინარე, მივხვდებით, რომ ვეფხვს ამ ცხოველთაგან ყველაზე მნიშვნელოვანი როლი უკავია. ვეფხვი აზიის დასავლეთით ბინადრობდა. ძველ სპარსულად ვეფხვს „ტიღრს“ეძახდნენ, რაც მკვეთრსა და მჭრელს ნიშნავდა. საბერძნეთში ვეფხვი ძიების, მოგზაურობის სიმბოლო იყო. აქედან ჩანს, რომ ძველი ხალხები ვეფხვს დიდ პატივს სცემდნენ, ეთაყვანებოდნენ. ვეფხვი წმინდა ცხოველად ითვლებოდა საქართველოში და მონადირეს არ ჰქონდა მისი მოკვლის უფლება. ამ შემთხვევაში გარკვეული რიტუალის შესრულება იყო საჭირო, კერძოდ, რამდენი ზოლიც ჰქონდა ვეფხვს, იმდენჯერ უნდა დაეტირათ იგი სოფელში.

საინტერესოა, რომ ხალხურ ლექსში „ვეფხვი და მოყმე“ მოყმე ისჯება იმის გამო, რომ მოკლა ვეფხვი. დავუკვირდეთ ერთ მომენტს: „ვეფხვი რომ წამომიფრინდა, თვალი მარისხნა ღვთისანი“ – ესე იგი, ღვთიური თვალისა, ღვთიური მზერისა იყო ვეფხვი.

ახლა კი „ვეფხისტყაოსნის“ვეფხვს დავუბრუნდეთ.

ვეფხვს ნაწარმოებში წმინდა ესთეტიკური მნიშვნელობა აქვს.

„ვეფხისტყაოსანში“ ვეფხვი ნესტან-დარეჯანის სიმბოლოა. რუსთაველმა სწორედ იმიტომ შეარჩია ეს სახელი სათაურად, რომ ვეფხვი ნესტანს უკავშირდება. ტარიელიც ამიტომ ატარებს ვეფხვის ტყავს. ამრიგად, რუსთაველს ორივე პერსონაჟი ერთიანად ჰყავს მოქცეული სახელწოდებაში.

ტარიელი, როგორც უცხო მოყმე, სწორედ ამ უჩვეულო სამოსით იპყრობს ყურადღებას:

„მას ტანსა კაბა ემოსა გარე თმა ვეფხვის ტყავისა
ვეფხის ტყავისა ქუდივე იყო სარქმელი თავისა.“

ასე რომ, პოემის სათაური გაცილებით მრავლისმეტყველია, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს.

„რომე ვეფხი შვენიერი სახედ მისად დამისახავს
ამად მიყვარს ტყავი მისი, კაბად ჩემად მომინახავს.“

ასე მოიხსენიებს ტარიელი ნესტანს. მან ვეფხვი სატრფოს სახე-სიმბოლოდ აქცია და, ნესტანთან სიახლოვის მარად განცდის სურვილით, ვეფხვის ტყავით შეიმოსა.

რითი დაიწყო ყოველივე ეს?

ინდოეთში ყველაფერი აირია. მეფე-დედოფალი ნესტანის დაქორწინებას აპირებს უცხოელ უფლისწულზე. თათბირს ტარიელიც ესწრება. იგი იძულებული ხდება, დაემორჩილოს ხელისუფალთა გადაწყვეტილებას. განრისხებული ნესტანი იხმობს ამირბარს.

ტარიელის შეხვედრა ნესტანთან დაძაბულია. სატრფოს „ღალატით“ გამძვინვარებული ქალი პირგამეხებულ ვეფხვს ჰგავს: დაუნდობელს, მშვენიერს, ქალურს. ასევე დაუნდობელია მისი მუქარა:

„ცოცხალ ვიყო, შენ ინდოეთს, ღმერთო,
ხანი ვეღარ დაჰყო,
თუ ეცადო დაყოფასა, ხორცსა შენსა სული გაჰყო.“

ამის შემდეგ ნაწარმოებში მოვლენები დრამატულად ვითარდება. სწორედ ამიტომ ეს სახე დარჩა მეხსიერებაში ტარიელს ნესტანის სიმბოლოდ. ასე გრძელდება წლების განმავლობაში. ტარიელის განცდები კულმინაციას აღწევს მაშინ, როცა მან ვეფხვი მოკლა.

ვეფხვის მხატვრული ფუნქცია პოეტურ ენაზე შემდეგია: ვეფხვი საკმაოდ გავრცელებული და პოპულარული სიმბოლოა მხატვრულ სააზროვნო სისტემაში. სიმბოლოთა ენციკლოპედიებსა და ლექსიკონებში მას სხვადასხვა მნიშვნელობით განმარტავენ. ვეფხვი, ძირითადად, ძალას, მძვინვარებას, დაუნდობლობას, მრისხანებას, სილამაზეს და სისწრაფეს გამოხატავს. აზიურ და ინდურ კულტურებში ის, ერთდროულად, არის როგორც აგრესიული, ისე მფარველი ძალა.

მინდა მოვიყვანო რამდენიმე მაგალითი, თუ როგორ აღიქვამდნენ ვეფხვს ძველი ხალხები:

1. ინდურ მითოლოგიაში ღმერთი დურგა ვეფხვზე ამხედრებული გადაადგილდებოდა, რაც მის ძლევამოსილებაზე მიუთითებს.

2. ჩინურ მითოსში სიმდიდრის ღმერთიც ვეფხვზე შემჯდარი დადიოდა, რაც, მოცემულ შემთხვევაში, აზარტისა და რისკის სიმბოლური გამოხატულება იყო.

3. ჩვეულებისამებრ, ვეფხვი მეომრულ მამაცობასა და ვაჟკაცობას გამოხატავს.

4. ინდოეთში ვეფხვი ჯარისკაცის ემბლემად ითვლებოდა.

5. ჩინური მითოლოგიის თანახმად, ქვეყნის ოთხ კიდესა და ცენტრს რამდენიმე ლეგენდარული ვეფხვი იცავს: ცისფერი – აღმოსავლეთს, შავი – ჩრდილოეთს, წითელი – სამხრეთს, თეთრი – დასავლეთსა და ცენტრს.

6. ჩინეთში ქვის ვეფხვის გამოსახულებას, როგორც მფარველ ძალას, თილისმას, ისე ამაგრებდნენ საფლავებსა და კარებზე. ტრადიციის თანახმად, პატარა ბავშვებს ვეფხვის ტყავისგან შეკერილ ქუდებს ახურავდნენ.

7. ინდური ღვთაება შივა და მისი მეომარი ცოლი, კალი, ვეფხვის ტყავით იყვნენ შემოსილები.

ვეფხვი საქართველოშიც პოპულარობით სარგებლობდა. მოვიყვან მაგალითებს ხალხური პოეზიიდან. როგორც ჩანს, ჯარისკაცებს ვეფხვს ადარებენ:

„ახლებში თამარისძესა
ვეფხვს მავკლავ სალის კლდისასა.“

„ჩადიან ჩასაუბრობენ,
ვეფხვ-ლომნი მუქარა ზედა.“

ვეფხვზე არანაკლებ როლს „ვეფხისტყაოსანშიც“ თამაშობს ლომი. აღსანიშნავია, რომ ლომი აქ უფრო მეტჯერაა ნახსენები, ვიდრე ვეფხვი. ლომის სამშობლო სამხრეთ აზია და აფრიკაა. ევროპამ ლომი გვიან გაიცნო. რელიგიასა და მითოლოგიაში ძველად ლომს დიდი ადგილი ეკავა. ლომი, ხშირად, ღმერთის განსახიერებაა და ვინაიდან ითვლებოდა, რომ მეფეს ღმერთის სისხლი აქვს, მეფეც ლომის სახითაა წარმოდგენილი.

ლომი მზის ზოდიაქოა, ანუ მზე ლომის სახლია; თვითონ ლომი კი, ძლიერების, ცეცხლის, მხნეობისა და სილამაზის გამოსახულებაა. „ვეფხისტყაოსანში“ ლომი მეფეა, მისი მემკვიდრე კი – ლომის ლეკვია. ლომის ყველა ლეკვი თანასწორია, მიუხედავად იმისა, ძუა იგი თუ ხვადი. ე.ი. მეფის შვილს, ქალია თუ ვაჟი, თანაბრად შეუძლია მეფობა: *„ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია“.* ეს სიტყვები არ ნიშნავს იმას, რომ XII საუკუნეში ან, თუნდაც, „ვეფხისტყაოსანში“ ყველა ქალი და მამაკაცი თანასწორუფლებიანია. აქ მხოლოდ მეფის მემკვიდრეებზეა საუბარი.

სამეფო წარმომავლობის გმირები „ვფხისტყაოსანში“ ლომთან არიან გაიგივებულნი. ლომი გარკვეული ზრდილობიანი და პატივისცემის გამომხატველი მიმართვაცაა. ავთანდილი ტარიელს მიმართავს: *„ლომო და გმირო, ტარიელ, ვის თავი გინაზებია“.* ლომად მოიხსენიებენ, აგრეთვე, ფრიდონს, ტარიელს, ფარსადანს. ამ მხრივ გამონაკლისია ავთანდილი. თუმცა, იგი მეფე არ არის, მაგრამ მაინც ლომად მოიხსენიება: *„სპათა სპასპეტი, ჩაუქი, ვითა ვეფხი და ლომია“.*

ლომს დიდი ადგილი ეკავა ძველ რწმენა-წარმოდგენებსა და რელიგიებში. ლომის კულტი ფართოდ იყო გავრცელებული ინდოეთში. არსებობს ვარაუდი, რომ ლომი გარკვეულ ტოტემს წარმოადგენდა ქართველი ხალხისათვისაც. ამას ის ფაქტი ადასტურებს, რომ ისტორიული ცნობით, ფაზისთან იდგა ტახტზე მჯდომი ქალის ქანდაკება, რომლის ფეხებთანაც ლომები იწვნენ. ამას ისიც ემატება, რომ ლომის თავები იყო გამოსახული ძველ კოლხურ თეთრზე, ხოლო ბრინჯაოს ხანის სამარხში, ალაზნის ველზე, აღმოჩენილია სახელგანთქმული ოქროს ლომის ქანდაკება.

შორეულ წარსულში ითვლებოდა, რომ თუ ადამიანს სურდა თავისი ძალა გაემდიდრებინა და გაემრავლებინა, მას იგი სხვისგან უნდა მიეღო. ვინაიდან დიდ ძალას ღმერთები და ცხოველები ფლობდნენ, თუ ადამიანი ცხოველს მოკლავდა, მას შეეძლო მისი ძალის მიღება. ამას იგი ცხოველის სისხლის დალევით და ხორცის ჭამით ახერხებდა. სისხლი დასახული იყო სიცოცხლის ძალად, სისხლში თვით სული იმყოფებოდა. ადრე სჯეროდათ, რომ სისხლით მიცვალებულის გაცოცხლებაც შეეძლოთ.

ახლა კი, ამ საინტერესო ინფორმაციის შემდეგ, გავიაზროთ „ვეფხისტყაოსნის“ ერთი ეპიზოდი. ავთანდილი ტარიელს ლომის სისხლს ასხამს, როდესაც იგი გულწასულია. ამით ავთანდილი არა მარტო აფხიზლებს მას, არამედ ლომის ძალას, სულს შთაბერავს.

„ვეფხისტყაოსნის“ სიმბოლიკაში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს როლს ცხენი თამაშობს. ცხენი პირველად მონღოლეთში მოიშინაურეს და შემდეგ მთელმა მსოფლიომ გაიცნო. პირველი ისტორიული წყარო ცხენის შესახებ ხეთური წარმოშობისაა. ძველ მსოფლიოში ცხენოსანი სამხედრო ძალის გამოჩენამ დიდი არეულობა შემოიტანა. სკვითებისა და კიმერიელების ცხენოსან ლაშქარს იმდროინდელ მსოფლიოში წინააღმდეგობა ვერავინ გაუწია. მათი შემოსევების შემდეგ დაიწყო ცხენის ფართოდ გამოყენება როგორც საყოფაცხოვრებო, ისე სამხედრო მიზნებისთვის.

ძველ ქართლში სიტყვით „მხედარი“ აღინიშნება საერთოდ ჯარისკაცი, მებრძოლი. სიტყვა მხედარი ყოველთვის კაცთან, ცხენთან და იარაღთან ასოცირდებოდა. კარგი ცხენოსნობა ყოველთვის ფასობდა. მხედარი მხოლოდ ცხენი ან მხოლოდ კაცი როდია. „მხედარში“ ცხენი და კაცი ისე მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი, რომ მათი განცალკევება შეუძლებელია. კაცისათვის ცხენი მხოლოდ გადაადგილების საშუალება არ არის. იგი გონიერი არსებაა და ადამიანის მცველად, შემწედ და მეგობრად წარმოგვიდგება.

ღონემიხდილ ტარიელს, რომელსაც სიკვდილი ჰქონდა გადაწყვეტილი, ცხენზე შეჯდომა აფხიზლებს. ავთანდილმა იცის, რომ ცხენი ტარიელს გამოაცოცხლებს, რადგან იგი რაინდია, რაინდს კი განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვს ცხენთან. ავთანდილს მრავალწლიან ხეტიალსა და მოგზაურობაში მხოლოდ ცხენი ახლავს.

ავთანდილმა კარგად იცის თავისი ცხენის ფასი და როდესაც ვაჭრები დიდძალ განძს შეაძლევენ დახმარების საფასურად, იგი უარზეა:

„რა გინდა მომცეთ, რას ვაქნევ, მე ვარ და ჩემი ცხენია.“

როდესაც ავთანდილი და ტარიელი ფრიდონის სამეფოს მიუახლოვდებიან, დაინახავენ ცხენების რემას და გადანყვეტენ ფრიდონს გაეხუმრონ – მეკობრეებად და ცხენის ქურდებად მოაჩვენონ თავი. ისინი ცხენებს დევნას დაუწყებენ. ამის გამგონე ფრიდონი, მეფე-კაცი, თვითონ აისხამს აბჯარს და ჯარით გამოვა „მეკობრეებთან“ საბრძოლველად. ამ ეპიზოდიდან ჩანს, თუ რა დიდი ღირებულება ჰქონდა ცხენს. ცხენების დასაცავად თვით მეფე – ფრიდონი გამოდის.

ერთადერთი სულიერი, რომელიც ტარიელს სულ თან ახლავს, მისი შავი ტაიჭია. ავთანდილი ტარიელს სწორედ ამ ტაიჭით სცნობს. ცხენი ძალიან დიდი საჩუქარია და მისი ჩუქება დიდი მადლიერების და მეგობრობის სიმბოლოა. სწორედ ამიტომ ჩუქნის ფრიდონი ტარიელს ცხენს. არის მოსაზრება, რომ ტაიჭი ზღაპრული რაშია და შეესაბამება პეგასს – ფრთიან ცხენს.

„ვეფხისტყაოსანში“ გარკვეული დატვირთვა აქვს ცხენის ფერსაც. ცხენი შეგიძლია შეაფასო მხედრის მიხედვით და, პირიქით, მხედარი – ცხენის მიხედვით. ავთანდილს თეთრი მერანი ჰყავს:

„მეფესა გასვლად იწვევდა, მოდგა თეთრ-ტაიჭოსანი.“

თეთრი სიმშვიდისა და ლხინის სიმბოლოა, რაც ავთანდილის ხასიათზე მიუთითებს. ტარიელს შავი ტაიჭი ჰყავს:

„შავი ცხენი სადავითა ჰყვა ლომსა და ვითა გმირსა.“

ტარიელის ხასიათზე სწორედ შავი ფერი, მწუხარებისა და გლოვის სიმბოლო, მიუთითებს. ავთანდილისა და ტარიელის ხასიათი რადიკალურად განსხვავებულია, ისევე, როგორც შავი და თეთრი.

ცხენი თითქოს შეუმჩნეველ მაგრამ მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქაჯეთის ციხის აღებისას. რომ არა ცხენის სისწრაფე, ქაჯეთს ვერ აიღებდნენ. ტარიელის გეგმაც სწორედ ცხენის სისწრაფეზეა დაფუძნებული:

„მაგა ცხენსა ჩემეულსა, მოასწრებენ კარსა ვერა.“

ციხის აღებაში წვლილი მხედრის, მეომრის, რაინდის საუკეთესო მეგობარმა – ცხენმაც შეიტანა.

ასეთი სახითაა ნაჩვენები რუსთაველის პოემაში ფაუნის სამი წარმომადგენელი.

ინფორმაცია

დაწყებითი განათლების პროექტის პრეზენტაცია

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში განათლების პროექტის (G-PriEd) ხელმძღვანელმა **ნენსი პარკსიმ** დაწყებითი განათლების პროექტის (G-PriEd) პრეზენტაცია წარმოადგინა. ისაუბრა განხორციელებულ, მიმდინარე სამუშაოებსა და სამომავლო გეგმებზე.

პრეზენტაციას ესწრებოდნენ: განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე **ლია გიგაური**, სამინისტროს წარმომადგენლები, დაწყებითი განათლების პროექტის (G-PriEd) საპილოტე და არასაპილოტე სკოლების დირექტორები, მასწავლებლები, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების: აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID), ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოს (MCC), მსოფლიო ბანკის (World Bank) და გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) წარმომადგენლები.

საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტი (G-PriEd) წარმოადგენს აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ დაფინანსებულ პროექტს, რომლის მიზანია, ხელი შეუწყოს ინოვაციური, მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების შემოღებასა და დანერგვას. პროცესის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს 300 საჯარო და ეთნიკური უმცირესობის სკოლის დაწყებითი საფეხურის I-VI კლასების ქართული ენის, ქართულის, როგორც მეორე ენისა და მათემატიკის მასწავლებლები და დაწყებითი საფეხურის, დაახლოებით, 40 000 მოსწავლე საქართველოს ყველა რეგიონიდან.

დაწყებითი განათლების 5-წლიანი პროექტი აუმჯობესებს დაწყებითი კლასების მოსწავლეთა უნარებს კითხვასა და მათემატიკაში, მასწავლებლებს სწავლების ახალ სტრატეგიებს აცნობს, ხარისხიანი საგანმანათლებლო რესურსების უზრუნველყოფისა და კითხვასა და მათემატიკაში საგნობრივი ექსპერტების კომპეტენციების ზრდის გზით.

დაწყებითი განათლების პროექტი ასევე ხელს უწყობს სკოლის ბაზაზე პროფესიული განვითარების მოდელის შემუშავებასა და დანერგვას, რაც ითვალისწინებს მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფების შექმნას მასწავლებელი ფასილიტატორების ხელმძღვანელობით და პროცესში სკოლის ადმინისტრაციის მხარდაჭერას. პროექტი, ასევე ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესში საზოგადოებისა და მშობელთა ჩართულობას.

უკვე დაიწყო პილოტირების პროცესი 122 საპილოტე სკოლაში, სადაც მიმდინარეობს ტრენინგები 1200 დაწყებითი საფეხურის ქართული ენის, ქართულის, როგორც მეორე ენისა და მათემატიკის მასწავლებლებისათვის სწავლებისა და შეფასების ეფექტური სტრატეგიის შესახებ.

2016 წელს, პროექტის დასრულებისათვის, ქართველი მოსწავლეებისათვის მისაწვდომი იქნება მრავალფეროვანი რესურსები, ისინი მიიღებენ მხარდაჭერას კითხვასა და მათემატიკაში, რაც დაეხმარებათ აქტიურად ჩაერთონ სწავლის პროცესში და დაეუფლონ მაღალ სააზროვნო უნარებსა და ცოდნას.

ლიტერატურული მემკვიდრეობის უკეთ შესწავლისთვის

ბოლო ორი წლის განმავლობაში, რაც აშკარად გააქტიურდნენ იაკობ გოგებაშვილის საქართველოს პედაგოგთა კავშირი და მისი რეგიონული ორგანიზაციები, შესაბამისად, გამრავლდა ეროვნული შინაარსის ღონისძიებები, რომელშიც პედაგოგები და მოსწავლეები მონაწილეობდნენ.

იმის გამო, რომ პედაგოგთა კავშირის ამჟამინდელი ხელმძღვანელობა ქალაქ რუსთავშია, ქვემო ქართლის ორგანიზაცია, ფაქტობრივად უწევს კოორდინაციას ამ კავშირის წევრთა საქმიანობას საქართველოს ყველა რაიონში. წარმატების ფაქტორი ისიცაა, რომ ქვემო ქართლში ორგანიზაციას ხელმძღვანელობს მაღალპროფესიონალი პედაგოგი, ათეული წლის განმავლობაში რუსთავის ერთ-ერთი საჯარო სკოლის დირექტორი, განათლების სისტემის დამსახურებული მუშაკი **ლეილა გეგეშიძე**, რომლის უშუალო ინიციატივითაც შეიქმნა, დაფუძნდა, მუშაობა დაიწყო და დღესაც ასე აქტიურობს ორგანიზაცია. სწორედ ამ ქალბატონისა და მისი თანამოაზრეების გონივრული გადაწყვეტილებით კავშირს სათავეში ჩაუდგა განათლების სისტემის გამოცდილი მუშაკი და ნოვატორი მეცნიერი **გარი ჩაფიძე**, რომელმაც გაითავისა რა უდიდესი მამულიშვილის ეროვნული ღვაწლი და მემკვიდრეობა, მისი მნიშვნელობა დღევანდელი ქართველი ერისა და მომავლისათვის, უამრავი რამ გააკეთა კავშირის საქმიანობის ეფექტურობისა და მისი საჯაროობისათვის.

იაკობ გოგებაშვილის საზოგადოებასთან ოფიციალურად დაფუძნდა გალაკტიონ ტაბიძისა და ნოდარ დუმბაძის საზოგადოებები, მათი მემკვიდრეობის უკეთ შესწავლისა და დაფასებისთვის. იდეის სამოქმედო პროგრამები სკოლებს საზოგადოების თავმჯდომარეებმა – ფილოლოგმა **ნინო კაკიაშვილმა** და დაწყებითი სკოლის პედაგოგმა **ნათელა ალექსიძემ** გააცნეს. მუშაობა ყველაზე აქტიურად რუსთავის საჯარო და კერძო სკოლებში გაიშალა, ადგილებზე ჩატარდა თემატური საღამოები, შემოქმედებითი კონკურსები, გაიმართა შეხვედრები. ნოდარ დუმბაძისადმი მიძღვნილ საღამოში მონაწილეობდნენ ქალაქის სკოლების პედაგოგები: ჭიათურიდან – **ვენერა ბიწაძე**, თეთრიწყაროდან – **თამარ ტოგონიძე**, მანგლისიდან – **ლეილა ქავთარაძე**, რუსთავიდან – **ციცინო ქევანიშვილი, მელანო მჭედლიშვილი, ხათუნა შეყილაძე, ნათელა ჭინჭარაშვილი, დიანა ღოლობერიძე, ნელი ციცვიძე, მარინა გოჩიტაშვილი, მზია ზაქარიაძე, ნონა გოგოლაძე, ციური ბერიძე, დარიკო ფეტელავა, ნინო მელიქიძე, ლეილა ბურჯანაძე** და სხვები, ყველა ასაკის მოსწავლეები. ღონისძიებას ხელმღვანელობდა იაკობ გოგებაშვილის მედალოსანი პედაგოგი, შემოქმედებითი, თეატრალური ნიჭით დაჯილდოებული ქალბატონი, **ნათია ალექსიძე**. შემოქმედებითი საღამო აკადემიური ქალაქის სააქტო დარბაზში გაიმართა და მას მოსწავლეთა მშობლებიც ესწრებოდნენ. ყველამ გამოთქვა სურვილი, რომ ასეთი ღონისძიებები ტრადიციად იქცეს, თუნდაც იმიტომ, რომ მოზარდებმა უკეთ გაიცნონ და შეიყვარონ ნოდარ დუმბაძის მაღალმოქალაქეობრივი და ეროვნული ლიტერატურული ნაწარმოებები.

მუსიკალურ-თეატრალური შემოქმედებითი კომპოზიციები ნოდარ დუმბაძის პოეტური და პროზაული ნაწარმოებების თემებზე იყო აგებული.

სულ ახლახან კი გალაკტიონ ტაბიძის სახელობის რესპუბლიკურმა საზოგადოებამ, იაკობ გოგებაშვილის რესპუბლიკური კავშირის ეგიდით, კარგად მომზადებული გასვლითი ღონისძიება ჩაატარა თბილისში, მთაწმინდაზე, გალაკტიონის ძეგლთან. ღონისძიებას უძღვებოდა მისი ავტორი, პოეტის სახელობის საზოგადოების თავმჯდომარე, სკოლა „მზეკაბანის“ პედაგოგი, პოეტი **ნინო კაკიაშვილი**. შინაარსითა და ფორმით მრავალფეროვან, გემოვნებით მომზადებულ ღონისძიებას მთაწმინდაზე უცხოელებიც კი დიდი სიამოვნებით შეუერთდნენ. ინგლისურ, ფრანგულ და გერმანულ ენაზე თარგმნილი გალაკტიონის ლექსები რუსთავის 24-ე სკოლის მოსწავლეებმა წაიკითხეს. რესპუბლიკურ კონკურსებში მრავალგზის გამარჯვებულმა, სამედიცინო უნივერსიტეტის პირველკურსელმა, რუსთაველმა **ნინო შავდათუაშვილმა** იქ მყოფნი მოხიბლა სიმღერით „მთაწმინდა ჩაფიქრებულა“. იაქტიურეს მე-4, მე-6, 23-ე, 25-ე საჯარო სკოლების, კერძო სკოლების – „მზეკაბანის“ და „რუსთველის“ – მოსწავლეებმა. მსმენელსა და მაყურებელზე დაუვიწყარი შთაბეჭდილება დატოვა „მზეკაბანის“ მეთერთმეტეკლასელმა **გიგა ტურიაშვილმა** საკუთარი ლექსის დეკლამაციითა და, ზოგადად, ღონისძიებაში აქტიური მონაწილეობით.

აქვე ის სკოლები და პედაგოგები დაჯილდოვდნენ, რომლებმაც გალაკტიონისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ჩატარებითა და პოეტური ნაწარმოებების შესწავლით, მაღალ აკადემიურ შედეგებს მიაღწიეს; ღონისძიების მსვლელობაში უშუალოდ მონაწილეობდნენ: სკოლა „მზეკაბანის“ დირექტორი **ბელა გოცირიძე**, საქართველო-პოლონეთი საზოგადოების თავმჯდომარე **ქეთევან ტრიპოლსკი**, ქართულ-უკრაინული ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი **ნინო ცხვედაძე**, იაკობ გოგებაშვილის საზოგადოების ქვემო ქართლის კავშირის თავმჯდომარე **ლეილა გეგეშიძე**, გამგეობის წევრები – **ნათია ალექსიძე, ვენერა გრიგალაშვილი**, პედაგოგები – **თინათინ როსტიაშვილი, მზია მენაბდე, ნუნუ ილურიძე, ცირა ნოზაძე, მზია შათირიშვილი, ნანა კვეზერელი, ხათუნა თარგამაძე, ეკა ჭვინტიაშვილი, ხათუნა ოთარაშვილი, ეკა მელიქიძე, დიანა ღოლობერიძე** და სხვები.

ღონისძიების დასასრულს იაკობ გოგებაშვილის საქართველოს კავშირის თავმჯდომარემ, აკადემიკოსმა გარი ჩაფიძემ მადლობა გადაუხადა ყველა მონაწილეს, ხოლო ღონისძიების ორგანიზატორს, პედაგოგ ნინო კაკიაშვილს გალაკტიონ ტაბიძის სპეციალური მედალი გადაეცა შემოქმედებითი აქტივობისათვის.

სასწავლო წლის დასასრულამდე ასეთი ღონისძიებები კიდევ ჩატარდება.

ლია მარტაშვილი

ბუნება და ჩემი ფანტაზია

საქართველოში ზოგადი განათლების სისტემა მიზნად ისახავს შექმნას ხელსაყრელი პირობები ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი, თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის. სკოლა უვითარებს მოზარდს გონებრივ და ფიზიკურ უნარ-ჩვევებს, აძლევს საჭირო ცოდნას, ამკვიდრებს ჯანსაღი ცხოვრების წესს. აქედან გამომდინარე ბავშვი აცნობიერებს, რომ ბუნებრივი გარემოს შენარჩუნება და დაცვა ყველას ვალია.

ამ მიზნით, თბილისის 72-ე საჯარო სკოლის III კლასის მოსწავლეების მიერ, მოეწყო მაკეტების გამოფენა (მასწავლებელი – **ნაირა ნატროშვილი**).

პროექტის შინაარსი: წარმოიდგინეთ, რომ მოხვდი უკაცრიელ კუნძულზე, როგორ დასახლდები და შექმნი ხელოვნურ გარემოს, რომელიც კუნძულზე ცხოვრებისათვის დაგჭირდება.

პროექტი მოიცავდა შემდეგ აქტივობებს:

– ინფორმაცია ჯუნგლების შესახებ, დაკვირვება მის ბუნებრივ პირობებზე, ცხოველებზე, მცენარეებსა და ფრინველებზე;

– ექსკურსია ზოოპარკში, ხელოვნურად შექმნილ საარსებო გარემოზე დაკვირვება;

– მაკეტების დამზადება, გამოფენა და პრეზენტაცია.

პროექტში აქტიურად იყვნენ ჩართულნი მოსწავლეთა მშობლები.

მაკეტები დამზადებული იყო ბუნებრივი მასალის გამოყენებით, შერჩეული ფერები, ექსპონატთა განლაგება ჯუნგლებისთვის დამახასიათებელ ეგზოტიკურ გარემოს ქმნიდა. წარმოდგენილმა სილამაზემ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

სკოლის ადმინისტრაციამ და დამთვალიერებლებმა მადლობა გადაუხადეს კლასის ხელმძღვანელს, ქალბატონ ნაირა ნატროშვილს, მოსწავლეებს და მშობლებს პროექტზე აქტიური მუშაობისთვის.

გამოცდილება

ინტეგრირებული გაკვეთილი ქართულსა და ბუნებაში

თემა: „ვაჟა და ბუნება“
V კლასი
მასწავლებლები: **მარინა არაბიძე-აშვეთია** (ქართული), **ანა კლდიაშვილი** (ბუნება)

გაკვეთილის ძირითადი მიმართულებები

მოქმედი ეროვნული სასწავლო გეგმა დიდ ყურადღებას უთმობს ინტეგრირებული გაკვეთილების მოდელს, მის საჭიროებასა და პოზიტიურ შედეგებს.

ადრეულ ასაკში მოსწავლეებს უჭირთ აბსტრაქტული აზროვნება, ანალიზი, ინფორმაციების განზოგადება, ტრანსფერი, ცალკეულ დისციპლინებში ნასწავლი მასალის სინთეზი. ამ სირთულეთა დაძლევისათვის მნიშვნელოვანი საშუალებაა ინტეგრირებული გაკვეთილები, რისთვისაც მეტად პროდუქტიული გარემოა წლის ბოლოს დაგეგმილი გამეორების გაკვეთილები, რადგან ამ დროისათვის მოსწავლეებს სხვადასხვა საგანში დაგროვილი აქვთ ნასწავლი ინფორმაციები. მათი დახარისხება და სხვადასხვა საგნის კონკრეტულ თემატიკასთან მორგება, ანუ ინტეგრირება მოსწავლეთა კოგნიტურ უნარებს ააქტიურებს.

ამ მხრივ მეტად საინტერესო ასპარეზს ქმნის მე-5 კლასში ქართული ლიტერატურისა და ბუნებისმცოდნეობის სინთეზი. საგანთშორისი ინტეგრირება შესანიშნავად ხერხდება ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით სახელმძღვანელოებში განთავსებული შესწავლილი მასალის კვალობაზე. ერთმანეთს დავუკავშირეთ:

მე-5 კლასის ქართული **ლიტერატურის** სახელმძღვანელოს (ნ. მაღლაკელიძე, გამომცემლობა „მერიდიანი“) რუბრიკა „ადამიანი და ბუნება“ (მე-5 თავი) და მე-5 კლასის **ბუნების** სახელმძღვანელოს (მ. ბლიაძე, რ. ახვლედიანი, დ. კერესელიძე, გამომცემლობა „ბაკურ სულაკაური“) რუბრიკები **„ყვავილოვანი მცენარეები“, „ველური ბუნება“, „გარემოს დაცვა“.**

დიდი ქართველი მწერლის, ვაჟა-ფშაველას შემოქმედება იძლევა იმის საშუალებას, რომ ბავშვებს გავუღვიძოთ და გავუძლიეროთ ბუნების სიყვარული. სიტყვაკაზმულობით, ლირიკულად გამოხატული მწერლისეული ჩანაფიქრი ხშირად აძლევს მათ სხვა საგანში მიღებული ცოდნის გააზრებისა და ინფორმაციების დაკავშირების იმპულსს.

სასწავლო გეგმის მიხედვით, მეხუთეკლასელებმა შეისწავლეს ვაჟა-ფშაველას ლექსი „უნუგეშოდ ყოფნა“, მოთხრობა „შვლის ნუკრის ნაამბობი“, მასწავლებლის მითითებით, კლასგარეშე ლიტერატურიდან წაიკითხეს ლექსი „ჩიტი-ჩიორა“ და ასაკისა და სახელმძღვანელოს ზემოაღნიშნული რუბრიკის შესაბამისი სხვა რამდენიმე ნაწარმოები.

ბუნებაში, წლის ბოლოსათვის, მოსწავლეებს შესწავლილი აქვთ: ველური ბუნება, ყვავილთა სამყარო, ტყე, მცენარეები, ფოტოსინთეზი, გარეული ფრინველები. ბუნების სახელმძღვანელოში შესული თემები და წიგნის სტრუქტურა ცხადყოფს, რომ თავად საგნის შიგნითაც არის ინტეგრირება, რომელიც ითვალისწინებს ბუნებრივი გარემოს მახასიათებლების შესწავლას, რაც მომდევნო კლასებში მოსწავლეთა მეცნიერული აზროვნების წინაპირობას წარმოადგენს.

რაც შეეხება ვაჟა ფშაველას შემოქმედების გაცნობასა და შესწავლას, დაწყებით საფეხურზე იგი ნამდვილად იძლევა ბუნებისმეტყველებაში მოცემული გარესამყაროს ლიტერატურასთან ინტეგრირებულად შემეცნებისა და გააზრების საშუალებას.

ყოველივე ზემოთქმულის კვალობაზე, სასწავლო წლის ბოლოს, წარმოვადგენთ V კლასში ჩასატარებელი ინტეგრირებული გაკვეთილის გეგმას ქართულსა და ბუნებაში (გამეორების გაკვეთილი).

P.S. მოსწავლეებს წინასწარ მიეცემათ **გასამეორებელი მასალა**, ქართულში – სახელმძღვანელოს რუბრიკიდან „ადამიანი და ბუნება“ ვაჟას შემოქმედების ნიმუშები, ასევე ბუნების სახელმძღვანელოდან – „ყვავილოვანი მცენარეები“, „ველური ბუნება“, „გარემოს დაცვა“ (შერჩეული საკითხები), რომლებიც საგანთა ინტეგრირებისა და მომავალი დაგეგმილი გაკვეთილისათვის იქნება საჭირო.

ვაჟა და ბუნება
ინტეგრირებული გაკვეთილი ქართულსა და ბუნებაში – V კლასი (გამეორება)
ძირითადი მიმართულებები (წინასწარი მონახაზი)

ქართული	ბუნება
1. შესავალი სიტყვა: გაკვეთილის გეგმის გაცნობა ვაჟა – ბუნების მესაიდუმლე	1. ვაჟა ბუნების მგოსანია. იგი ფშავში დაიბადა. მოკლედ დაახასიათეთ: როგორია ფშავის ბუნება? ფშავის ფლორა და ფაუნა?
2. ვაჟას ლექსი **„უნუგეშოდ ყოფნა“.** მწერლისთვის დამახასიათებელი გამოხატვის მხატვრული ფორმა.	
იას, ბნელ ხევში მოსულსა, **დიდი ჭანდრები ჰფარავდა,** **ეწადა დიდხანს სიცოცხლე,** **წადილს აღარა ჰმალავდა.** **ინაბებოდა, კრთებოდა,** **მზის სხივს ელოდა** მაღლითა, შეჰფოფინებდა სამყაროს გაშტერებულის თვალითა.	**2. ჭადარი** – რა იცით ხის ამ სახეობის შესახებ? რატომ კვდებოდა ია?
მზის სხივი აკლდა, ელოდა, **მზე აღარ ამოდიოდა,** **ჩიქილად მისი სხივები** **თავზე არ ეფინებოდა.** ამოიკვნესა ჩაგრულმა, გულმოკლულს ეტირნებოდა,	3. რა არის **ჩრდილი?**
მზე ვეღარ აწვდის სხივებსა **ბნელის ჯურღმულის წყვდიადსა,** ვერ უმრთელებდა წყლულს გულსა ფერგახუნებულს იასა.	4. რა არის **ფოტოსინთეზი?**
ია სჭკნებოდა, კვდებოდა, მიწასვე ებარებოდა, გაღმა კი ყვავილთა გუნდი სამოთხეს ედარებოდა,	5. რატომ ჰყვაოდა გაღმა ყვავილთა გუნდი? **ია** **ია ყვავილია.**
მზე უხვად ნათელსა ჰფენდა, ჯავრი არ ეკარებოდა. ჰხედავს, რომ სხვანი ლხინობენ, მას მიწა ეფარებოდა.	6. რა არის **ყვავილი?** რა იცით მის შესახებ?
3. რა აწუხებს იას? (პარალელები სხვა ნაწარმოებთან).	
4. **„შვლის ნუკრის ნაამბობი“.**	
„გენაცვალე, **ტყეო!“...** „გავედით **სვილში** შევუდექით **შამბიანს, ბუერიან** გვერდოებს... **ჩხიკვი** დამჯდარიყო **წიფლის** შამელაზე... მოფრინდა **წიფლისჩიტა, წიპრანა**... მე **არჯაკელის** გროვაში დავიმალე... ჩვენს ზევით იყო – **დგნალები“**.	**ტყე** **ველური ბუნება** **რა არის ტყე?** **სვილი, შამბიანი, ბუერა, წიფელი, არჯაკელი, დგნალები...** **შველი – ბუნების შვილი.**
5. „ხე რომ დაეცა, დაიკვნესა“...	
6. ვაჟას ლექსი **„ჩიტი ჩიორა“** – გაზაფხულის სიხარული.	**გარეული ფრინველები** **ჩხიკვი, წიფლისჩიტა, ქედანი, წიპრანა...**
7. ჯგუფური მუშაობა: **I და II** ჯგუფი იმუშავებს **ლიტერატურის** მიმართულებით. **III და IV** ჯგუფი იმუშავებს **ბუნების** მიმართულებით.	
დავალება ჯგუფებისათვის **(ლიტერატურის ჯგუფი)**	**დავალება ჯგუფებისათვის** **(ბუნების ჯგუფი)**
I ჯგუფი – **„გენაცვალე, ტყეო!“...** II ჯგუფი – **„რაზე ჩურჩულებენ იები?“**	III ჯგუფი – **„უმზეოდ ჭკნება იანი“** IV ჯგუფი – **„კაცნო, რად ერჩით ბუნებას?!“**
8. ჯგუფური მუშაობის პრეზენტაცია ლიდერებისაგან.	
9. შეფასება და თვითშეფასება.	
10. საშინაო დავალება. წერითი სამუშაო: „ვაჟა და ბუნება“	

ინტეგრირებული გაკვეთილის გეგმა
ქართულსა და ბუნებაში
სსიპ წმინდა ნინოს სახელობის ქუთაისის მე-3 საჯარო სკოლის V კლასი
მასწავლებლები: მარინე არაბიძე-აშვეთია, ანა კლდიაშვილი

გაკვეთილის თემა	ვაჟა და ბუნება (გამეორება)		შენიშვნა
გაკვეთილის მიზანი	ვაჟა-ფშაველას შემოქმედების ნიმუშებიდან (ლექსები: **„უნუგეშოდ ყოფნა“, „ჩიტი-ჩიორა“,** მოთხრობა **„შვლის ნუკრის ნაამბობი“**) სათანადოდ შერჩეული, მნიშვნელოვანი **ტექსტური მონაკვეთების მოძიება და დაკავშირება ბუნებასთან,** ლიტერატურული დეტალების მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენა. ტრანსფერის პროცესის გაშლა-გააზრება.		
მისაღწევი შედეგი	მოსწავლე შეძლებს განვლილ მასალაზე დაკვირვებით მიზეზ-შედეგობრივი კავშირების ამოცნობასა და მსჯელობას. მოსწავლეს შეუძლია დიდი ინფორმაციიდან ფაქტებისა და მოვლენების გამოყოფა და მეორე საგნის მასალასთან დაკავშირება. ავლენს ლოგიკური აზროვნების უნარს, გამოაქვს სათანადო დასკვნები.		
გაკვეთილის მსვლელობა	1. შესავალი სიტყვა – გაკვეთილის გეგმის გაცნობა. ვაჟა – ბუნების მესაიდუმლე.(2წთ) 2. ვაჟას ლექსი „უნუგეშოდ ყოფნა“. ლექსის მხატვრულად წაკითხვა. (1 წთ) 3. ლექსის ჩვენება მონიტორზე, საყურადღებო მონაკვეთების ამოკრება, მათზე დაკვირვება **„უნუგეშოდ ყოფნა“ (5 წთ.)**	ბუნებაში ნასწავლი მასალის დაკავშირება ლიტერატურულ წყაროსთან და მსჯელობა მოვლენათა მიზეზ-შედეგობრივ კავშირებზე. 1. ვაჟა ბუნების მგოსანია, იგი ფშავში დაიბადა, **<u>რა იცით ფშავის ბუნების შესახებ?</u>** დაახასიათეთ მოკლედ ფშავის ბუნება, მისი ფლორა და ფაუნა.	ბუნების საკითხებზე მუშაობას დაეთმობა მთლიანად 20 წთ, ჯგუფური მუშაობის ჩათვლით.
აქტივობების აღწერა	**„იას, ბნელს ხევში მოსულსა,** **დიდი *ჭანდრები*** ფარავდა, ეწადა დიდხანს სიცოცხლე, წადილს აღარა ჰმალავდა. **ინაბებოდა, კრთებოდა,** **<u>მზის სხივს ელოდა მაღლითა</u>** შეჰფოფინებდა სამყაროს, გაშტერებულის თვალითა, **<u>მზის სხივი აკლდა, ელოდა,</u>** **<u>მზე აღარ ამოდიოდა,</u>** **ჩიქილად მისი სხივები** **თავზე არ ეფინებოდა.** ამოიკვნესა ჩაგრულმა, გულმოკლულს ეტირნებოდა, **<u>მზე ვეღარ აწვდის სხივებსა,</u>** **ბნელის ჯურღმულის** **წყვდიადსა,** ვერ უმრთელებდა წყლულს გულსა, ფერგახუნებულს იასა. **ია ჭკნებოდა, კვდებოდა,** მიწასვე ეფარებოდა **გაღმა კი ყვავილთა გუნდი** **სამოთხეს ედარებოდა.** **<u>მზე უხვად ნათელსა ჰფენდა</u>**, ჯავრი არ ეკარებოდა, **იას** სიკვდილი ამ დროსა მით უფრო ემწარებოდა, ჰხედავს, რომ სხვანი ლხინობენ, მას მიწა ეფარებოდა“.	**2. <u>რა არის ია</u>?** **3. <u>რა არის ყვავილი</u>?** **4. <u>რა იცით ყვავილის შესახებ?</u>** **5. *<u>ჭადარი</u>* -** რა იცით ხის ამ სახეობის შესახებ? **6.** რა არის ***<u>ჩრდილი?</u>*** **7. <u>რატომ კვდებოდა ია?</u>** **8.** რა არის **<u>ფოტოსინთეზი</u>?** **<u>9. რატომ ჰყვაოდა გაღმა ყვავილთა გუნდი?</u>** (მზე აცოცხლებდათ – ფოტოსინთეზი).	
აქტივობების აღწერა	4. რა სურს იას? (სიცოცხლე) **„თუ გამაჩინე უფალო,** **დიდი დღე რად არ მამეო!“.. (ია)** **„ხე რომ დაეცა, დაიკვნესა“** („შვლის ნუკრის ნაამბობი“). როგორ გამოიხატება მათი სიცოცხლე ვაჟასთან?	**10.** მცენარენი, ყვავილები ცოცხლობენ. **<u>როგორ გამოიხატება მათი სიცოცხლე ბუნებაში?</u>**	

გამოცდილება

გაკვეთილის თემა	ვაჟა და ბუნება (გამეორება)		შენიშვნა
გაკვეთილის მსვლელობა	**5. „შვლის ნუკრის ნაამბობი“ (5 წთ)** „გენაცვალე **„ტყეო!“**... გავედით **სვილში**, შევუდექით **შამბიანს, ბუერიან** გვერდოებს...	**ტყე** **ველური ბუნება** **11. <u>სვილი, შამბნარი, ბუერა, არ-ჯაკელი, დგნალები</u> – განვმარ-ტოთ თითოეული მათგანი**	
გაკვეთილის მსვლელობა	**ჩხიკვი** დამჯდარიყო **წიფლის** შა-მელაზე, მოფრინდა **წიფლისჩიტა, წიპრანა,** მე **არჯაკელის** გროვაში დავიმალე... ჩვენს ზევით იყო **დგნალები**...	**12. ფრინველები** **ჩიტი, – <u>ჩხიკვი, წიფლისჩიტა, წიპრანა ქედანი – რა იცით ამ ფრთოსნების შესახებ</u>?**	
	6. ვაჟა – **„ჩიტი-ჩიორა“.** (კლასგარეშე საკითხავი მასალა – 3 წთ)		
	ამწვანდა **მთები,** ამწვანდ **ჭალა,** გამოაჩინა ბუნებამ ძალა, **ჩიტი** ჩიორა გალობს და გალობს არც დაეძინა, არც დაიღალა. მწვანობს ჯეჯილი, ჰყვავის ხეხილი, თეთრად ცხვარი ჩანს გადაფენილი,	**13. რა არის <u>მთა</u>?** **რა არის <u>ჭალა</u>?**	
აქტივობების აღწერა	დიან **წყარონი,** უხვად ყველგანა, სამოთხესა ჰგავს მთელი ქვეყანა.	**14. რა არის <u>წყარო</u>?** **სად ჩნდება იგი?**	
	მოსარწყავიც აქვს, **წვიმა** ჟუჟუნა, ტყეში **ქედანმა** დაიღუღუნა. ხნულებში ცელქობს თაგვი წრუწუნა.	**15. რა არის <u>წვიმა</u>?** **როგორ წარმოიქმნება იგი?**	
აქტივობების აღწერა	ჰფეთქენ **იანი**, დღეა **მზიანი,** ღმერთო, არ მისცე ყვავილთ ზიანი!.. რა კაი დროა, რა კაი ხანა, არ მინახია მე ამისთანა. ჩიტი, ჩიორა გალობს და გალობს რა დიდად ხარობს, რა ფრიად ხარობს!.. თავის მღერაში ცვილივით დნება ლაღობს დღე და ღამ და არა ცხრება.	**16. რა არის <u>მზე</u>?** **რა იცით მის შესახებ?**	
გაკვეთილის მსვლელობა	**7. ჯგუფური მუშაობა (8 წთ)** **(ლიტერატურის ჯგუფი)**	**17. ჯგუფური მუშაობა** **(ბუნების ჯგუფი)**	
აქტივობების აღწერა	**I ჯგუფი – „რაზე ჩურჩულებენ იები?“** პატარა ჩანახატის დაწერა მხატვ-რული ხერხების გამოყენებით (გა-პიროვნება, შედარება, ეპითეტი).	**III ჯგ. „უმზეოდ ჭკნება იანი“.** (ბუნებაში ნასწავლი მასალის მი-ხედვით).	
	II ჯგუფი – გენაცვალე, ტყეო!“ პატარა ჩანახატის დაწერა მხატვ-რული ხერხების გამოყენებით (გაპიროვნება, შედარება, ეპითე-ტი).	**IV ჯგ. „კაცნო, რად ერჩით ბუნე-ბას?!“, ანუ ბუნების დაცვა.** (ბუნებაში ნასწავლი მასალის მი-ხედვით გარემოს დაცვა).	
გაკვეთილის ორგანიზება	გაკვეთილზე დაგეგმილი აქტივო-ბები გაიშლება ლიტერატურული ტექსტების კვალობაზე, ბუნებაში ნასწავლი მასალის პარალელურად. მოსწავლეები ლიტერატურულ მასალას კითხულობენ მხატვრუ-ლად და გამომეტყველებით. ლექსიკური მუშაობა. ყურადღება მიექცევა ფშავური დიალექტის ფორმებს (ჭანდრები, ჩიქილა, აეკვალთა...) წინასწარ მომზადებული ფართო ფორმატით კედელზე გაკრული იქნება ლექსიკური ერთეულები, ე.ი. სიტყვების ჩამონათვალი,		

<u>დ ა ი მ ა ხ ს ო ვ რ ე თ</u>

განმარტებებით:
ჩიქილა – ლეჩაქი, ქალის თავსა-ბურავი.
ქათიბი – ბეწვმოვლებული ქალის ზედა ტანსაცმელი.
გადაეძრახება – გაეხმაურება, გა-დასძახებს.
ნაკაფი – გაკაფული ადგილი.
ცის ტატნობი – ცის თაღი, ცის კა-მარა.
ლაში – ცხოველის ტუჩი.
დაუკუნეთდა – დაბნელდა.
ხავილი – ჩახლეჩილი ხმა.
აფორთქლებული – დაღლილი, აქოშინებული.
გამოშეშხა – გამოფატრა.
შამბი – მაღალი და მსხვილი ეკ-ლიანი ბალახი.
წვრილიანი – წვრილი ხეების ტყე.
ბუერა – დიდფოთლოვანი, ნეს-ტის მოყვარული მცენარე.
შამელა – ახალგაზრდა ხე.
არჯაკელი – მთის ბალახი.
სვილი – ჭვავი, თავთავიანი პუ-რეული მცენარე.
დგნალი – ტირიფის მსგავსი ხე.
არყი – თეთრქერქიანი ფოთლო-ვანი ხე.
წიპრანა, წიპრია – ჭივჭავი, მოყ-ვითალო მომწვანო ფერის ჩიტი.

ჯგუფური მუშაობის ლიტერატურულ ნაწილში (I და II ჯგუფი) ბავშვები გუნდურად მუშაობენ, ერთმანეთს აწოდებენ მოხდენილ ფრაზებს, აგებენ ტექსტს, რომელსაც აუდიტორიის წინაშე წა-რადგენს ჯგუფის ლიდერი.

ჯგუფური მუშაობის ბოლოს მოსწავლეებს დაურიგდებათ თვით-შეფასების ბარათები.

ბუნების საკითხებზე მუშაობას დაეთმობა მთლიანად 20 წთ, ჯგუფური მუშაობის ჩათვლით.

გაკვეთილის თემა	ვაჟა და ბუნება (გამეორება)	შენიშვნა
თვითშეფასების ცხრილი	1. ვიმუშავე ჯგუფში – ა)ეფექტურად; ბ) საშუალოდ; გ) ცუდად. 2. ლიტერატურული და ბუნებისმცოდნეობის საკითხები ერთმა-ნეთს შევუსაბამე – ა) კარგად; ბ) საშუალოდ; გ) ვერ შევუსაბამე. 3. ყველაზე კარგად ვიმუშავე ა) ლიტერატურაში; ბ) ბუნებაში; გ) ორივე საგანში. 4. ასეთი ტიპის გაკვეთილები 1) მომწონს; 2) არ მომწონს; 3) არც ისე. 5. გაკვეთილს მთლიანობაში შევაფასებდი 10 ქულიდან.....ზე. 6. ჩემს თავს დავუწერდი .....ქულას.	
რესურსები	სახელმძღვანელო, ფურცლები, კალმები, სტიკერები, კომპიუ-ტერი, მონიტორი, სლაიდები, შეფასებისა და თვითშეფასების წინასწარ მომზადებული ბარათები, მოსწავლეთა ნახატები. კე-დელზე გაკრული ცხრილები ლექსიკური მუშაობისათვის.	
შეფასება	მოსწავლეთა აქტიურობა გაკვეთილზე, ლოგიკური მსჯელო-ბის, აზროვნების, მოვლენათა მიზეზ-შედეგობრივი მიმართების ამოცნობის, პროგრამული და არაპროგრამული მასალის მიზ-ნობრივი დაკავშირების, ქართული ლიტერატურისა და ბუნების გაკვეთილების თემასთან შესაბამისი საერთო მიმართულებე-ბის ამოცნობის, ჯგუფური მუშაობის, კომუნიკაბელურობის, აზრის წერილობით გადმოცემის უნარები.	
საშინაო დავალება	წერითი დავალება „ვაჟა და ბუნება“ ნასწავლი და განხილული საკითხების გამოყენებით	
შთაბეჭდილებები	დამსწრეთაგან შეფასების ბარათების შევსება და ზეპირი შეფა-სებების მოსმენა (3წთ.)	

მარინე არაბიძე-აშვეთია
სსიპ წმინდა ნინოს სახელობის ქუთაისის №3 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის სერტიფიცირებული მასწავლებელი

ინფორმაცია

შეჯიბრი ჭადრაკსა და შაშში!

სულ ახლახან თბილისის ტურიზმის აკა-დემიაში გაიმართა შეჯიბრება სტუდენტთა შორის ჭადრაკსა და შაშში. შეჯიბრება საკმა-ოდ დაძაბულ ვითარებაში მიმდინარეობდა და დიდი ინტერესიც გამოიწვია. შედეგების მიხედვით ჭადრაკში პირველი ადგილი დაი-კავა **სოფო კუციამ**, მეორე – **გიორგი მენაბ-დემ**, ხოლო მესამე – **კონსტანტინე აფციაურ-მა**. რაც შეეხება შაშს, აქ პირველი ადგილი **შოთა გელაშვილმა** მოიპოვა, მეორე – **ირაკ-ლი გაბლიანმა** და მესამე – **კონსტანტინე აფ-ციაურმა**.

სიმონ ბეჟაური
კორესპონდენტის სპეციალობის III საფეხურის სტუდენტი

გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ

საქართველოს განათლებისა და მეცნიე-რების მინისტრმა **თამარ სანიკიძემ**, თავდაცვის მინისტრმა **ირაკლი ალასანიამ** და იუს-ტიციის მინისტრის მოადგილემ **ალექსანდრე ბურჭულაძემ**, თავისუფლების დღესთან და-კავშირებით, ესეების კონკურსში „ჩემი ჯა-რისკაცი“ გამარჯვებული სკოლის მოსწავ-ლეები დააჯილდოვეს.

კონკურსი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, თავდაცვის სამინისტროსა და იუსტიციის სამინისტროს ურთიერთთანამშრომლობით ჩატარდა. კონ-კურსის მიზანს წარმოადგენდა ახალგაზრდა თაობაში პატრიოტული გრძნობის ამაღლე-ბა, ქვეყნის ინტერესების, ტრადიციებისა და ღირებულებების მიმართ პასუხისმგებლო-ბის გააზრების ხელშეწყობა.

კონკურსის ფარგლებში, მოსწავლეებს საშუალება ჰქონდათ, ზემოაღნიშნულ თემა-ზე დაეწერათ ესეები, რომლებშიც გამოხა-ტავდნენ საკუთარ მოსაზრებებს, დამოკიდე-ბულებას და სურვილს ქართველი ჯარისკა-ცების მოღვაწეობასთან დაკავშირებით რო-გორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთ.

კონკურსში თბილისის სკოლების 125 მოსწავლე მონაწილეობდა. გამარჯვებულე-ბი ორ ასაკობრივ ჯგუფში გამოვლინდნენ: IV-VII და VIII-XII კლასებში. თითოეულ ასა-კობრივ ჯგუფში გამოვლინდნენ I, II, III საპ-რიზო ადგილებზე გასული მოსწავლეები, ხოლო წამახალისებელი სიგელები გადაეცა 18 მოსწავლეს. საკონკურსო ნამუშევრების შეფასებაში სამივე სამინისტროს წარმომად-გენლები მონაწილეობდნენ.

IV-VII კლასების ასაკობრივი ჯგუფი:

❖ I ადგილი – **გიგი ლობჯანიძე**, თბილისის №158 საჯარო სკოლის IV კლასი;

❖ II ადგილი – **დავით მძინარიშვილი**, თბილი-სის №155 საჯარო სკოლის V კლასი;

❖ III ადგილი – **ელენე წიქარიძე**, თბილისის №43 საჯარო სკოლის VII კლასი.

VIII-XII კლასების ასაკობრივი ჯგუფი:

❖ I ადგილი – **ანანო ქუხილავა**, შპს „კანდი-დი“, XI კლასი;

❖ II ადგილი – **გიორგი არჯევანიძე**, თბილი-სის №114 საჯარო სკოლა, IX კლასი;

❖ III ადგილი – **ნიგარ გუსეინოვა**, თბილისის №158 საჯარო სკოლა, VIII კლასი.

სასკოლო აქტივობა

სტუმრად მშვენიერების სამეფოში

„ჩვენ მიწიერ სამოთხეში ვიყავით“ – გაბრწყინებული სახით გაუზიარა შთაბეჭდილებები მოსწავლეებსა და კოლეგებს ქალბატონმა **გიული აბესაძემ**, ბოტანიკის გამოცდილმა მასწავლებელმა. ბატონი **ზურაბ შევარდნაძე**, „რუსთავი 2“-ის დილის გადაცემით, ყველა ოჯახის სასურველი სტუმარია. იგი საქართველოს მოსახლეობას თავისი ულამაზესი ბაღის, „გარდენიის “ შესახებ ესაუბრება, რომელიც 5 წლის წინ დაარსდა და დღეს ათასობით სხვადასხვა ჯიშის მცენარეს რუდუნებით უვლიან ბაღის მესვეურები.

„გარდენიის“ მონახულების იდეა კურსების საჯარო სკოლაში (დირექტორი – **თამარ ზარნაძე**) უცხო ენაში ჩატარებული ვორკშოპის დროს დაიბადა.

VIII კლასის მოსწავლეებთან ერთად გადავწყვიტე, გერმანული ენის შესწავლის მეორე წელი ვორკშოპით – „Deutsch Warum nicht?“-„გერმანული – რატომაც არა?“ – აღმენიშნა. კლასი გერმანულს, როგორც უცხო ენას, ენების სწავლის, სწავლებისა და შეფასების საერთო ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს მიხედვით, A2 დონეზე ეუფლება. მოსწავლეებს მივეცი არჩევანის შესაძლებლობა – შესწავლილი თავებიდან რომელი უფრო შეესაბამებოდა მათ ინტერესებს აღნიშნული ვორკშოპის ჩატარებისათვის. ამის შემდეგ მათ ელექტრონული ვერსიები შექმნეს, შერჩეული თემებისათვის შესაბამისი, საინტერესო, მიმზიდველი და სახალისო რესურსები დაამზადეს. დაამუშავეს და შეისწავლეს სიმღერები გერმანულ ენაზე; შექმნეს კოლაჟი „Unsere tolle Klasse“-„ჩვენი არაჩვეულებრივი კლასი!“.

ვორკშოპის პრეზენტაციაზე, ტრადიციისამებრ, მოწვეული იყვნენ პარტნიორი – ორპირის საჯარო სკოლის (დირექტორი – **ნინო ბოლათაშვილი**) მოსწავლეები, მერვეკლასელთა მშობლები, სხვა საგნების პედაგოგები და უცხო ენის კათედრის წარმომადგენლები. ვორკშოპის მონაწილეებს, ვიდეოჩანაწერის საშუალებით, მიესალმა ბატონი **შტეფან იოჰან შაცი** – გაკვეთილის ექსპერტი საქართველოსა და აზერბაიჯანში, გოეთეს ინსტიტუტი საქართველოში. მოსწავლეებმა ვორკშოპის მასალა წარმოადგინეს ინდივიდუალური, წყვილებში და ჯგუფური მუშაობით. დასასრულს ყველა მოსწავლეს გადაეცა თბილისის გოეთეს ინსტიტუტის მიერ მოწოდებული სუვენირები.

გაიმართა თბილისის გოეთეს ინსტიტუტის პროექტის – „რატომ გერმანული?“-„Warum Deutsch?“ – DVD ფილმის პრეზენტაცია. ფილმში 10 ცნობილი ქართველი პიროვნება დეტალურად პასუხობს შეკითხვას – „რატომ გერმანული?“ – როგორ გახდა ეს ენა მათთვის ძვირფასი და მნიშვნელოვანი: ქალბატონი **მაია ფანჯიკიძე**, საგარეო საქმეთა მინისტრი, გერმანული ენის პედაგოგი; **ანა კორძაია-სამადაშვილი**, მწერალი და მთარგმნელი; **ვახტანგ მაჭავარიანი**, დირიჟორი; **რატი ამაღლობელი**, პოეტი; **ზურაბ შევარდნაძე**, ბოტანიკოსი და სხვები.

ბუნებრივია, განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია რეპორტაჟმა „გარდენიის“ შესახებ. იდეა კი სასწავლო ექსკურსიით განხორციელდა მაისის არასასწავლო დღეს.

„გარდენიის“ თანამშრომელმა, ბოტანიკოსმა **ვახტანგ ბარათაშვილმა,** კურსებელ მოსწავლეებს და პედაგოგებს „გარდენიის“ დაარსების შესახებ გვესაუბრა. დავათვალიერეთ სანერგეები, ორანჟერეები, სადაც დიდი ბიომრავალფეროვნებაა. ქალბატონმა გიულიმ ბოტანიკის გაკვეთილი ღია ცის ქვეშ ჩაატარა, ისაუბრა ყვავილოვანი მცენარეების ვეგეტატიურ გამრავლებაზე, მის სახეებზე: კალმით, ტოტით, ფესვის ამონაყარით, ბოლქვითა და გორგლით. ნანახმა მშვენიერებამ მართლაც გადააჭარბა მოლოდინს და ამიტომაც ხშირად გაისმოდა აღტაცების შეძახილები. მოსწავლეებმა და პედაგოგებმა მათთვის საინტერესო კითხვებზე სათანადო პასუხები მიიღეს. დიდი სიამოვნებით შეიძინეს ყვავილოვანი მცენარეები: პეტუნია, ბეგონია, ბალბა, ვარდის სხვადასხვა სახეობა.

„გარდენია“ მაგალითია უბადლო პროფესიონალიზმის, საქმისადმი სიყვარულისა და პასუხისმგებლობის. მისმა დამაარსებელმა 7 წელი გაატარა გერმანიაში და სწორედ იქ გადაწყვიტა, სამშობლოში ჩამოსვლისთანავე, საკუთარი ბაღი გაეშენებინა. აქაურმა მშვენიერებამ ბევრ მოსწავლეს გაუღვიძა საკუთარი მცირე „ბაღნარის“ შექმნის სურვილი და შემართება.

„გარდენიაში“ გადაღებული ფოტოებით სკოლაში, თვალსაჩინო ადგილას, მოეწყო გამოფენა, ხოლო გადაღებული ვიდეომასალა ვუჩვენეთ სკოლის მოსწავლეებსა და პედაგოგებს, ვინც ჩვენთან ერთად ვერ მოინახულა ბუნების საოცრება, რომელიც შთაგონების ამოუწურავ წყაროდ შეიძლება იქცეს.

ნატო აბესაძე
გერმანული ენისა და ლიტერატურის სერტიფიცირებული პედაგოგი
სსიპ ტყიბულის მუნიციპალიტეტის კურსების საჯარო სკოლა

სპორტი

სამაისო კავკასია

25 მაისს, საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის ინიციატივით, სარკეებიან დარბაზში დაიწყო საჭადრაკო ფესტივალი „სამაისო კავკასია“, რომელიც ორი მეზობელი ქვეყნის, საქართველოსა და აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის დღეებს – 26 მაისსა და 28 მაისს ეძღვნებოდა. პარალელურად, ფესტივალი ამ სასახლის მდიდარი ისტორიის გახსენებასაც ისახავდა მიზნად. გასახსენებელი კი მართლაც ბევრია, რადგან თავის დროზე – 1918 წელს სწორედ ამავე სასახლის „თეთრ დარბაზში“ მოეწერა ხელი ჯერ საქართველოს, ორ დღეში კი – აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის აქტს.

ამავე ფესტივალის ფარგლებში, სასახლის წინ იქაური საჭადრაკო სკოლისა და კლუბის „ნტნ“ (რომელსაც ცნობილი მოჭადრაკე **ნანა ალექსანდრია** ხელმძღვანელობს) ვარსკვლავი გაიხსნა. ღონისძიების სპონსორები თბილისის მერია, საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია და აზერბაიჯანული ნავთობკომპანია „სოკარ ენერჯი ჯორჯია“ იყვნენ. ფესტივალს ესწრებოდნენ როგორც სპორტსმენები, ასევე საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი **ლევან ყიფიანი**, ჭადრაკის ფედერაციის ხელმძღვანელობა, დიპლომატიური კორპუსისა და კონკრეტულად – აზერბაიჯანის საელჩოს წარმომადგენლები. ფესტივალი რამდენიმე ასაკს მოიცავდა და მასში საქართველოს საჯარო სკოლების მოსწავლეები მონაწილეობდნენ. მისი ძირითადი ნაწილი თბილისში გაიმართა, თუმცა იყო შეჯიბრება მარნეულშიც – 26 მაისს იქ ორ ასაკობრივ ჯგუფში ჩატარდა „სოკარის თასი“.

25 მაისს, სასახლის სარკეებიან დარბაზში, ფესტივალის ფარგლებში, დააჯილდოვეს თბილისის კერძო სკოლების გამარჯვებულები ჭადრაკში (ხელმძღვანელი – ნანა ალექსანდრია). შეჯიბრება ეტაპობრივად მიმდინარეობდა და ცალკეული სკოლების წარჩინებული სპორტსმენები გამოვლინდნენ.

ვახტანგ ესვანჯიას სახელობის იტალიურ სკოლა „ცისკარში“ ყველას **ნიკა დ'აგოსტინმა** აჯობა და ჩემპიონი გახდა. II ადგილი **საბა სხულუხიამ** მოიპოვა, III ადგილი – **ნატა ლაშქარაშვილმა**.

ევროპული სასწავლებელი „ანიცეტი“: I ადგილი – **ბადრი შოშიტაიშვილი**; II ადგილი – **დიმიტრი იოსებაძე**; III ადგილი – **ანანო გაფრინდაშვილი** და **ანა კონიაშვილი**.

26 მაისს თბილისში დაიწყო საჭადრაკო მატჩი, სახელწოდებით „გამსვლელი პაიკი“, ქართველ და აზერბაიჯანელ მოჭადრაკეთა შორის. ისიც ორ ასაკობრივ ჯგუფში – 7 და 9-წლიანთა შორის ჩატარდა და „გამსვლელი პაიკიც“ მონაწილეთა ასაკობრივი სიმცირის გამო ეწოდა. პირველი დღის პარტიები ჩვენმა გუნდმა მოიგო ანგარიშით 5:3, მეორე დღეს კი მეტოქემ იმარჯვა – 4.5:3.5. ამდენად, ორი დღის შემდეგ, საქართველოს ნაკრები იგებდა საერთო ანგარიშით 8.5:7.5. ტურნირი 28 მაისს დასრულდა.

დაჯილდოების დასრულების შემდეგ რამდენიმე სტუმარს გავესაუბრეთ.

ლევან ყიფიანი, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი: *„მოგილოცავთ სამაისო კავკასიის ტურნირის გახსნას. ეს არის საერთაშორისო ტურნირი და მასში ჩაერთვებიან ქართველი და აზერბაიჯანელი ნორჩი მოჭადრაკეები. ტურნირი ძალიან მნიშვნელოვანია, ფესტივალის გახსნა უკავშირდება ორ უმნიშვნელოვანეს თარიღს საქართველოს და აზერბაიჯანის ისტორიაში – ამ ორი ქვენის დამოუკიდებლობის დღეებს – 26 და 28 მაისს. ეს კიდევ ერთხელ მოწმობს და მიუთითებს იმ მეგობრობაზე, რომელიც არსებობს ჩვენს ქვეყნებს შორის. ნიშანდობლივია, რომ სწორედ ამ შენობაში, სასახლის თეთრ დარბაზში, 1918 წლის 26 მაისს, საქართველოს ეროვნულმა საბჭომ მიიღო დამოუკიდებლობის აქტი, რითაც აღდგენილ იქნა საქართველოს დამოუკიდებლობა. ჩვენ ეს ურთიერთობები საუკუნეები უნდა გავაგრძელოთ და ამიტომ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსთვის ძალიან მნიშვნელოვანია სპორტის გამოყენება მეგობრობისთვის და მომავალი თაობის გაჯანსაღებისთვის. მინდა მადლობა გადავუხადო ქართული ჭადრაკის ვეტერან თაობას, რომლებმაც ბევრი სიკეთე მოუტანეს ჩვენს ქვეყანას“.*

ქეთევან ფეიქრიშვილი, მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის დირექტორი: *„მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლისთვის ეს დღე ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან სასახლის წინ გაიხსნება ჩვენი საჭადრაკო სკოლისა და კლუბ „ნტნ“-ის ვარსკვლავი. ასევე მნიშვნელოვანია ფესტივალის გახსნა, რომელიც ორ უმნიშვნელოვანეს ისტორიულ თარიღს ეძღვნება. ეს ტურნირი ორი ქვეყნის მეგობრობას კიდევ უფრო გააღრმავებს“.*

გია გიორგაძე, საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი: *„მივესალმები დამსწრე საზოგადოებას, განსაკუთრებით მინდა მივესალმო ვეტერან მოჭადრაკეებს და სტუმრებს აზერბაიჯანიდან. მინდა მადლობა ვუთხრა მათ ამ შესანიშნავი ღონისძიების ორგანიზებისთვის. განსაკუთრებული მადლობა ქალბატონ ნანა ალექსანდრიას, რომ არა მისი უშრეტი ენერგია, ფანტაზია და უნარი, ნებისმიერი ღონისძიება გადააქციოს დიდ ზეიმად, ჩვენ დღეს აქ არ ვიქნებოდით. საღამომ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. დიდი მადლობა იმისათვის, რომ ბავშვებს შესანიშნავი დღესასწაული მოუწყვეთ. მთავარია ფესტივალში მონაწილეობა და არა გამარჯვება, ის, რომ სხვადასხვა ეროვნების ბავშვები ერთად ხართ, ერთამენთს გაიცნობთ და დამეგობრდებით, უკვე გამარჯვებაა. გამარჯვებას გისურვებთ არა მარტო ჭადრაკის თამაშში, არამედ თამაშს გარეთაც“.*

რუბრიკას უძღვება
ირაკლი თავაძე

წიგნის თარო

მიმდინარეობს ხელმოწერა

გთავაზობთ ტესტების კრებულებს ქართულ ლიტერატურაში, რომელიც ითვალისწინებს საატესტატო გამოცდის მოთხოვნებს.

თითოეული კრებულის ფასი – 10 ლარი

ავტორები:
თამარ გელიტაშვილი, ამირან გომართელი

წიგნი I – ძველი ქართული მწერლობა;
წიგნი II – „ვეფხისტყაოსანი“;
წიგნი III – XIX საუკუნის მწერლობა

♦ კრებულებში ნახავთ თითქმის ყველა სავარაუდო კითხვა-პასუხს საგამოცდოდ გათვალისწინებული ნაწარმოებებიდან;

♦ მათი მეშვეობით გაგიადვილდებათ საპროგრამო ტექსტების ზედმიწევნით ათვისება-შესწავლა;

♦ სწორი პასუხების შემოხაზვის შედეგად თქვენ გეძლევათ ნაწარმოებთა იდეურ-მხატვრული ანალიზი;

♦ თქვენ შეძლებთ დაძლიოთ ყველა საგამოცდო სირთულე.

სავარჯიშო რვეული ქართულ მართლწერაში

წიგნი განკუთვნილია აბიტურიენტების, საჯარო მოხელეების, მასმედიის წარმომადგენლებისა და ყველა იმ პირისათვის, ვისაც სურვილი აქვს დაძლიოს ტესტირებასთან დაკავშირებული თუ, საზოგადოდ, ქართული მართლწერისა და მართლმეტყველების სირთულეები.

ფასი – 9 ლარი

კრებულის შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით „ახალი განათლების“ რედაქციაში: 295 80 23, 790 95 80 23, 599 88 00 73

რეპროდუქციები ხელოვნების კაბინეტისთვის

1. ჰორაციუსთა ფიცი - ჟაკ-ლუი დავიდი
2. მწყემსთა თაყვანისცემა - დომენიკო გირლანდაიო
3. ადელ ბლოხ-ბაუერის პორტრეტი - გუსტავ კლიმტი
4. მენინები - დიეგო ველასკესი
5. დელფოსელი სიბილა - მიქელანჯელო
6. მხატვრის ბაღი - კლოდ მონე
7. უძღები შვილის დაბრუნება - რემბრანდტი
8. საძანელა - ოგიუსტ რენუარი
9. საკვირაო გასერნება გრან ჟატის კუნძულზე - ჟორჟ სიორა

ერთი ცალის ფასი
6.5 ლარი

თემატური პლაკატები მაღალი კლასებისთვის

ფორმატი A1 (59.4X84.1 სმ)

1. რელიგიების წარმოშობა
2. გარეული ფრინველები საქართველოში
3. გარეული ცხოველები საქართველოში
4. მწერები
5. ქართული ხალხური საკრავები
6. ქვეწარმავლები საქართველოში
7. საქართველოს მცენარეები
8. ადამიანის აგებულება
9. ძველი რომი
10. ნიადაგი – სიცოცხლის წყარო
11. რეპტილიები და დინოზავრები
12. მსოფლიოს დროშები
13. ზღვის დინებები
14. ქიმიური ელემენტების პერიოდული სისტემა
15. ქართველი მეომრის შეიარაღება და საბრძოლო ტექნიკა
16. მსოფლიოს შვიდი საოცრება

ერთი ცალის ფასი
3 ლარი

ქართველი მწერლები

❖ ვაჟა-ფშაველა (10-ტომეული)
I-V ტომი, – 11 ლარი
❖ მიხეილ ჯავახიშვილი (7-ტომეული)
I-VII ტომი – 11 ლარი
❖ ლევან გოთუა (7-ტომეული)
I-II ტომი – 16 ლარი
❖ ედიშერ ყიფიანი (2-ტომეული)
I-II ტომი – 15 ლარი
❖ კონსტანტინე გამსახურდია (10-ტომეული),
I, II, III, VI, VII, VIII, IX, X ტომი – 16 ლარი,
IV-V ტომი –18 ლარი
❖ რევაზ ინანიშვილი (6-ტომეული)
I, II, IV, V, VI ტომი – 12 ლარი
❖ ვახტანგ ჭელიძე (9-ტომეული)
I-VII ტომი –12 ლარი
❖ გრიგოლ აბაშიძე (6-ტომეული),
I-V ტომი – 12 ლარი
❖ ოტია იოსელიანი (10-ტომეული)
I-X ტომი – 12 ლარი
❖ თამაზ ჭილაძე (6-ტომეული)
I-VI ტომი – 10 ლარი
❖ გოდერძი ჩოხელი (5-ტომეული)
I, III, IV, V ტომი – 13 ლარი

მითითებულია თითო ტომის ფასი

ქართული ლიტერატურის კაბინეტისთვის მწერალთა პორტრეტები (34X47 სმ)

1. მიხეილ ჯავახიშვილი
2. გიორგი ლეონიძე
3. ირაკლი აბაშიძე
4. ნოდარ დუმბაძე
5. აკაკი წერეთელი
6. კონსტანტინე გამსახურდია
7. პაოლო იაშვილი
8. სულხან-საბა ორბელიანი
9. პოლიკარპე კაკაბაძე
10. გურამ რჩეულიშვილი
11. იაკობ ხუცესი
12. იოანე საბანისძე
13. დავით გურამიშვილი
14. ბესიკი
15. რევაზ ინანიშვილი
16. ალექსანდრე ჭავჭავაძე
17. თეიმურაზ I
18. ვახტანგ VI
19. გიორგი მერჩულე
20. გრიგოლ ორბელიანი
21. დავით აღმაშენებელი

ერთი ცალის ფასი 4 ლარი

ახალი განათლება

მთავარი რედაქტორი:
მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტეტელაშვილის ქ. №3
ტელ.: 032 295 80 23, 0790 958023, 599 880073
www.axaliganatleba.ge
E-mail: axaliganatleba@gmail.com Skype:axali.ganatleba

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735
ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >

ბოლო ზარი